საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 145 (2259) შაბათი, 20 ივლისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლწესრიგი ჩვენს ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც რეფორმები, როგორც დემოკრატია

19 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მიწვეული იყვნენ ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელები, პარლამენტის წევრები, ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურები, საზოგადოებრიობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. განიხილეს კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრების, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისა და 1996 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გასაწვევთა გაწვევის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენებები გააკეთეს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ, სახელმწიფოს უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ, იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ, გენერალური პროკურორის მოადგილემ რევაზ ყიფიანმა, თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გურამ ნიკოლაიშვილმა.

მოხსენებების მიხედვით გაიმართა კამათი.

სხდომაზე გამოვიდა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

(სხდომის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში).

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

●

მორიგე რედაქტორი:

პროვინციული წამხედურობის მღვრიე ნაკადში

ამ ბოლო დროს ძალიან მოგვიმრავლდა ნაირ-ნაირი — რეგიონული, რაიონული და, ლამისაა, საუბნო ტელეცენტრები. თავისთავად ეს ურიგო რამ ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ ვართ კი მზად იმისთვის, რომ ასე უხვად მივიღოთ ყოველგვარი, ზოგჯერ შეუმოწმებელი, ხანაც აშკარად ყალბი ინფორმაცია, ვნახოთ, აღვიქვათ, გავისიგრძეგანოთ ათასი ჯურისა და დონის კინო- თუ ვიდეოპროდუქცია, რომელთა უმეტესობა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ძალზე საეჭვო წარმოშობისაა და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ფრიად უხამსი, ჩვენი მენტალიტეტისა და მორალისთვის აშკარად მიუღებელი, მომავალი თაობის აღზრდისათვის კი ხშირად დამღუპველიც შეიძლება გახდეს!

ატრიალებენ ჩვენი ახლადგამომცხვარი ტელეცენტრები სისხლიან, ამაზრზენ, ამორალურ პროდუქციას და როგორც ეტყობა, მაყურებელიც საკმაოდ ჰყავს, უმეტესად — ნორჩი ასაკისა. ატრიალებენ და, თუ ბიჭი ხარ, ყურზე ხახვი დააჭერი! არც კანონი, არც ნორმატიული წესები, არც სხვა მექანიზმი არ არსებობს, რომ ზღვარი დაუდოს დაგვიანებული ნოვაციის თუ პროვინციული წამხედურობის მღვრიე მდინარეს.

რას აძლევს ამ საეჭვო ტელეკინოპროდუქციის „შედევრები" ჩვენს ბავშვებს? ეს შეკითხვა სრულიადაც არ არის რიტორიკული, მით უფრო, რომ მსოფლიო გამოცდილება ერთგვაროვან პასუხს იძლევა: არაფერ სასიკეთოს! სისხლის მონატრების, აღვირახსნილი, ამორალური ცხოვრების მოტივაციას კი გვარიანად უღვივებს, თანაც, — დიდი ხნით, ხშირად — სამუდამოდაც.

და თუ გვსურს, რომ ჩვენმა თაობამ, ახალგაზრდობამ არ შეისისხლხორცოს ქართველი ერისთვის უცხო და სრულიად მიუღებელი, დამღუპველი ინსტიქტები, ინტელიგენციამ, საზოგადოებამ დროულად უნდა მიხედოს პრობლემას, რომლის ერთ წახნაგს განიხილავს ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის **მე-3 გვერდზე დაბეჭდილი არჩილ მანჯგალაძის** პუბლიკაცია **„დემოკრატიის ორლესული მახვილი"**.

იაპონელები დადებითად აფასებენ

იაპონიის მთავრობისა და საქმიანი წრეების აქტიური დაინტერესებისა და იაპონია-საქართველოს შესაძლო პარტნიორული ურთიერთობის ასპექტებზე გაიმართა საუბარი საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 19 ივლისს გამართულ მიღებაზე.

საქართველოში საქმიან ვიზიტად მყოფი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და უცხოეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის ერთობლივ დელეგაციას საქართველოს პრეზიდენტმა მოკლედ მოუთხრო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგებზე და გააცნო ამჟამად მიმდინარე პროცესები.

იაპონელმა სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს აშკარად თვალშისაცემი პროგრესი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და განაცხადეს, რომ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია საქართველოს სამრეწველო და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ მათ დაეხმარება თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ვიზიტად ირანში

19 ივლისს თბილისიდან თეირანს ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის თქმით, ეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი აქბარ ველაიათის საქართველოში ყოფნის შემდეგ საპასუხო ვიზიტია. ირანში განიხილავენ ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებს, კერძოდ, ეს ეხება ენერგეტიკას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, ეკონომიკის სხვა დარგებს, აგრეთვე კულტურის, მეცნიერების სფეროებსა და ა. შ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დგას ვიზიტის დღის წესრიგში, არის ირანისადმი საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაცია.

სავარაუდოა, რომ სამდღიანი ვიზიტის დროს ხელს მოაწერენ შეთანხმებას საქართველოსა და ირანის იუნესკოს საქმეთა კომისიებს შორის.

კავკასიაში მშვიდობისათვის

ქობულეთში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო კონფერენციამ „ახალგაზრდობა კავკასიაში მშვიდობისათვის". კონფერენციაში მონაწილეობს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ჩეჩნეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ნახჭევნის, მთიანი ყარაბაღის, ჩრდილოეთ ოსეთის, ცხინვალის რეგიონის, კავკასიის სხვა რეგიონების, აგრეთვე ევროპის ქვეყნების 120-ზე მეტი წარმომადგენელი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელით მიესალმა მის მონაწილეებს.

კონფერენციაზე აგრეთვე გამოვიდნენ ევროკავშირის წარმომადგენელი კეტ უაიტი, აზერბაიჯანის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე ჯაფარ ჯაფაროვი, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე თეიმურაზ კასაევი, ევროპის ახალგაზრდული კავშირების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იანის კულჩი, საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია „ვერტიკის" ამიერკავკასიის ოფისის დირექტორი დენის სამუტი და სხვები.

— დღეს, აღინიშნა კონფერენციაზე, უმნიშვნელოვანესი პრობლემა მშვიდობის პრობლემაა. და შემთხვევითი როდია, რომ კონფერენცია იმართება აჭარაში, სადაც მთელი რიგი სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით დაცულია მშვიდობა. აქ ჩამოდიან სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები, რათა გადაიღონ ავტონომიური რესპუბლიკის მშვიდობიანი საქმიანობის გამოცდილება. ბუნებრივია, რომ კონფერენცია ვერ გადაწყვეტს მშვიდობის ყველა პრობლემას კავკასიაში, მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნეს მისმა მონაწილეებმა, თავის გარკვეულ წვლილს იგი უთუოდ შეიტანს.

ქუჩაში ვაჭრობა აკრძალეს

თბილისის მუნიციპალიტეტმა აკრძალა ქალაქის ქუჩებში ვაჭრობა, მაგრამ ჯიხურები კვლავ მრავლად გვხვდება. ეს განსაკუთრებით ეხება დიდუბის რაიონს, სადაც ცენტრალურ მაგისტრალსა და მეტროს მისადგომებთან ვაჭრობენ. ზაფხულის პერიოდში აქ იყიდება ისეთი ასორტიმენტის კვების პროდუქტები, რომლებიც სამაცივრო მეურნეობას საჭიროებს. ქალაქის მერია კვლავ აფრთხილებს მოსახლეობას — ნუ შეიძენენ ქუჩებში გამოტანილ კვების პროდუქტებს.

და მაინც ნება დართეს

თბილისის მუნიციპალიტეტმა დააკმაყოფილა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თხოვნა და აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს მძიმე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, როგორც გამონაკლისი, ნება დართო აწარმოონ მალფუჭებადი პროდუქტებით გარე ვაჭრობა მეტროს სადგურ „ვიქტორ გოცირიძის" მიმდებარე ტერიტორიაზე.

თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი

ისე მოხდა, რომ ბოლო ორი თვის მანძილზე თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, პრაქტიკულად, არ ჰყავდა სამხატვრო ხელმძღვანელი.

საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანებით 16 ივლისიდან ამ კოლექტივს ერთი წლის ვადით „თეატრალურ რეფორმათა პრინციპების დადგენამდე" სათავეში ჩაუდგება საქართველოს სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე, რომელიც ერთდროულად იქნება ორი სცენური კოლექტივის — გრიბოედოვისა და ახმეტელის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელი.

საქინფორმი.

ექსპრეს-ინფორმაცია

კარაჯიჩის ბედმა, ეტყობა, საგონებელში ჩააგდო არძინბა

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წაყენებულმა ეთნიკური წმენდის ბრალდებამ, შესაძლოა, იგი კომპრომისს დააყაბულოს

ორშაბათს მოსკოვში ხანგამოშვების შემდეგ განახლდა ქართველ-აფხაზთა კონსულტაციები, რომლებშიც, მოკონფლიქტე მხარეების გარდა, მონაწილეობენ აგრეთვე შუაკაცები — რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი და გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ედვარდ ბრუნერი. პირველი ორი დღე დაეთმო თითოეული მოკონფლიქტე მხარის სეპარატულ კონსულტაციებს შუამავლებთან.

კონსულტაციების განახლებასთან სდევდა დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერების განცხადებები. ვლადისლავ არძინბა ამჯერადაც დასჯერდა „მორიგე ფრაზას" — გამოთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება და იგი უწინდებურად მზად არის შეხვდეს პირადად ედუარდ შევარდნაძეს. შევარდნაძემ უფრო მკვახე ტონი აირჩია და თქვა, რომ „თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და პოლიტიკური მოწესრიგების ყველა რეზერვი ამოიწურა, მაშინ საქართველო იძულებული გახდება სხვა გზითა და სხვა მეთოდებით აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა". ამას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მოსკოვიდან ბორის პასტუხოვი: „ორმხრივი მუქარა კარგს არაფერს მოიტანს, პირიქით, მოლაპარაკების ატმოსფეროს გააუარესებსო. მან კრიტიკულად შეაფასა ქართული მხარის მიერ გამოთქმული მზადყოფნაც, დააყენოს აფხაზეთის საწინააღმდეგო ეკონომიკური სანქციების საკითხი იმ რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 12 ივლისს. რეზოლუცია, თქვა მან „ნამდვილად გულისხმობს აფხაზთა მხარის არაკონსტრუქციულ პოზიციას, მაგრამ მას ვერც სანქციების შემოღების ნებართვასთან გავაიგივებთო".

ამასთანავე, სრულიად ცხადია, რომ სწორედ უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ აიძულა აფხაზები აერჩიათ მოლაპარაკებაზე ესოდენ შემრიგებლური, ხოლო ქართველები — ესოდენ მკაცრი ტონი. რეზოლუცია ბრალს სდებს აფხაზეთს არა მარტო არაკონსტრუქციულ პოზიციაში, არამედ 1992-1993 წლების ღია შეიარაღებული კონფლიქტის დროს ეთნიკურ წმენდაშიც, რაც გაცილებით უფრო საშიშ შედეგებს უქადის აფხაზთა ხელმძღვანელობას. რადოვან კარაჯიჩის სულ ახალმა მაგალითმა, ეტყობა, საგონებელში ჩააგდო ვლადისლავ არძინბა, და მოლაპარაკების ახლანდელ ეტაპზე აფხაზთა მხარე, ალბათ, უფრო მეტ მოქნილობას გამოიჩენს.

ლეონიდ ველეხოვი.
გაზ. „სეგოდნია".

როდიონოვი — განტევების ვაცი?

„მოსკოვსკიე ნოვოსტის" სამხედრო მიმომხილველის ა. ჟილინის აზრით, რომელიც ჩახედულია თბილისის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების მასალებში, „როდიონოვს რომ წაეკითხა ან ეჩვენებინა ყველა დაშიფრული ბრძანება და დოკუმენტი, რომლებიც მას მისდიოდა, მიხეილ გორბაჩოვი ვერასდროს გახდებოდა სსრ კავშირის პრეზიდენტი, და ვერც ბატონი ლუკიანოვი გამოხტებოდა ტრიბუნაზე ჩვენი ჭკუის სასწავლებლად. იგორ როდიონოვი მოიქცა ისე, როგორც წესიერ გენერალს შეჰფეროდა: განზე გადგა და ჩრდილში ყოფნა არჩია".

იტარ-ტასის, ინტერფაქსის და საქინფორმის მასალების მიხედვით.

რადუევი ცოცხალი ყოფილა...

როგორც გროზნოდან იტყობინებიან, დასავლელ ჟურნალისტთა წინაშე ხუთშაბათს გამოვიდა ჩეჩენთა საველე მეთაური სალმან რადუევი — ბანდის მეთაური, რომელმაც ამა წლის იანვარში დაღესტნის ქალაქ ყიზლარში ხელთ იგდო საავადმყოფო, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანი იმყოფებოდა, შემდეგ კი, როგორც ვარაუდობდნენ, მოკლეს სეპარატისტთა შორის შინაური „საქმის გარჩევის" დროს. მან პრესკონფერენცია გამართა ქალაქ გუდერმესის რაიონში. რადუევი ამტკიცებდა, რომ, მძიმედ დაჭრილი გადაიყვანეს გერმანიაში და იქ განვლო მკურნალობის კურსი. რადუევის გამოსვლის ჩანაწერიანი ფირი, სადაც რადუევი მოითხოვს შეიარაღებულ ბრძოლას „საბოლოო გამარჯვებამდე", აჩვენეს ხუთშაბათს გროზნოს ტელევიზიით. ჯოხარ დუდაევის ნათესავმა, 28 წლის რადუევმა განაცხადა, რომ იგი ცოცხალია. ეს მტკიცება ეწინააღმდეგება იანდარბიევის, მასხადოვისა და ჩეჩენ სეპარატისტთა სხვა ხელმძღვანელების, აგრეთვე დუდაევის ცოლის მტკიცებებს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

ა. გელაშვილის მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში რეაქტიული თვითმფრინავების დანერგვის, ათვისების, ავიაციის კადრების მომზადების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის სასწავლო ცენტრის უფროსი **ანთიმოზ გელაშვილი** დაჯილდოვდეს მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ოლიმპიადა ეკრანზე

20 ივლისი. შაბათი. XXVII ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი. გადაცემა ატლანტიდან — 17.00 (ორტ) და 17.15 (რტ), ოლიმპიური თამაშები ატლანტაში — 23.45 (ორტ), ოლიმპიადა-96, კრივი, სროლა — 24.05. (რტ).

21 ივლისი. კვირა. ოლიმპიადა-96. ცურვა, კრივი — 10.15 (რტ); ოლიმპიური თამაშები ატლანტაში — 13.15 (ორტ); ოლიმპიური თამაშები ატლანტაში — 16.20 (ორტ); ოლიმპიადა-96, ველოსპორტი. ქალთა ჯგუფური რბოლა გზატკეცილზე — 19.55 (რტ); ოლიმპიური კურიერი — 20.25 (რტ); ოლიმპიადა-96. ქალთა ჯგუფური რბოლა გზატკეცილზე. გაგრძელება — 22.00 (რტ). ოლიმპიური თამაშები ატლანტაში — 23.30 (ორტ); ოლიმპიადა-96, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ფინალი, ძიუდო. ფინალი — 24.30.

დრო ყველგან თბილისისაა.

მართლწესრიგი

თუ ხელმძღვანელებმა არ იმუშავეს, პროგრამა ფარატინა ქაღალდად დარჩება

ცნობილია, პრეზიდენტის რეკომენდაციით შეიქმნა „არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა". გვესაუბრება შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი **მამია დარჩია.**

— ახლახან, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა „არასრულწლოვანთა, ახალგაზრდებსა და მოზარდთა შორის მუშაობის სამმართველო", რომელიც სისხლის სამართლის მთავარ სამმართველოში შედის, მაგრამ დამოუკიდებელი ერთეულია. მას თავისი გარკვეული მიმართულებები, გეგმა და საქმიანობის ფორმა აქვს.

არასრულწლოვანთა შორის მომხდარი დანაშაული, სამწუხაროდ, ძალიან მძიმედ გამოიყურება: ჩადენილი დანაშაულის 85 პროცენტი მოდის 29 წლის ასაკამდე, 72 პროცენტი — 25 წლამდე, ხოლო არასრულწლოვანებზე — 22,5 პროცენტი, ამიტომ, თუ დროზე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, ეს სოლიდური რაოდენობის არასრულწლოვანი დამნაშავე კრიმინალური სამყაროს შემავსებელი ნაწილი გახდება.

დღეს არასრულწლოვნები, ფაქტობრივად, ძირითადად ქუჩაში არიან. დასამალი არ არის ისიც, რომ რთულმა სოციალურმა ყოფამ ხშირ შემთხვევაში უკანა პლანზე გადაიტანა შვილების აღზრდის პრობლემა. საყოფაცხოვრებო პრობლემებით არიან დაკავებული მასწავლებლებიც. ამან კი, გაზარდა ის დიდი პროცენტი დანაშაულისა, რომელიც არასრულწლოვანთა წილად მოდის.

წინათ ბავშვთა ოთახები იყო, რომლებიც ზრუნავდნენ ძნელად აღსაზრდელ მოზარდებზე. ახლა ასეთი რამ აღარ არსებობს. ფაქტობრივად, პოლიცია მაშინ ხვდება ბავშვს, როდესაც მას დანაშაული უკვე ჩადენილი აქვს. მაშ, ვინ უნდა აკონტროლებდეს მოზარდის ქცევას დანაშაულის ჩადენამდე? სწორედ ეს არის სადღეისოდ გადასაჭრელი პრობლემა.

ახლებურად გადაიჭრა სამინისტროში არასრულწლოვანთა შორის ინსპექტორების საკითხი. ამ თანამდებობაზე სამინისტროში მოვა ისეთი პიროვნება, რომელმაც იცის, თუ რა სირთულეს წარმოადგენს მოზარდთან მუშაობა. ამასთანავე ეს პიროვნებები თავიანთი პატარა თანამდებობიდან დიდ წოდებებს მიიღებენ ისე, როგორც წლების მანძილზე მუშაობს სამაგალითო კაცი, პოლიციის პოლკოვნიკი გელა ქავთარაძე. მას არასდროს თანამდებობა არ უძებნია. დღეს კი იგი ახლადშექმნილი სამმართველოს უფროსად დაინიშნა. სამმართველოში 350 არასრულწლოვანთან მუშაობის ინსპექტორია გაერთიანებული. სულ მალე მათ ჩაუტარდებათ ატესტაცია. მუშავდება გეგმა, მოეწყობა ათდღიანი სემინარი, სადაც მათ შეხვდებიან და გაესაუბრებიან პროკურატურის, იუსტიციის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, მათ ურჩევენ, თუ როგორ უნდა წარმართონ არასრულწლოვანებთან შემდგომი მუშაობა.

არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა უაღრესად საჭიროა, მაგრამ თუ კეთილსინდისიერად და მთელი გულისყურით არ იმუშავეს იმ ხელმძღვანელებმა, რომლებიც ხელს აწერენ ამ დოკუმენტს, მაშინ იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

სიურპრიზი მკითხველს!

გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკა"

ორშაბათიდან იწყებს

ექსპრესი

განცხადებების გამოქვეყნებას
თქვენი ინტერესების გათვალისწინებით.
მოგვმართეთ,
დაგვირეკეთ
და მეორე დღეს თქვენი სურვილი
ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების
შესახებ — ყოველდღიური და
მრავალტირაჟიანი გაზეთის
ფურცლებზე გაცხადდება.

გამოიყენეთ ჩვენი შესაძლებლობანი და
თქვენ მოგებული დარჩებით!

მობრძანდით:
კოსტავას ქ. № 14, მეოთხე სართული
დაგვირეკეთ: 99-73-24.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 აბზაცი და მე-5 მუხლის მეორე პუნქტის მე-4 და მე-5 აბზაცები ამოქმედდეს „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლისთანავე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ".

4. დაევალოს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს წინადადებები „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს ალმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელოს იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა სოციალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი.

საქართველოს კანონი
იძულებით გადაადგილებულ პირთა—დევნილთა შესახებ

იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, საქართველოს კანონმდებლობას, განსაზღვრავს დევნილთა სამართლებრივ სტატუსს საქართველოში, ადგენს მათ სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას.

მუხლი 1. დევნილი

1. დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

2. დევნილის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც ცნობილია დამნაშავედ და იხდის სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

მუხლი 2. დევნილად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვა

1. პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იმ ადგილობრივ სამსახურს, სადაც დროებით ცხოვრობს ან აპირებს დასახლებას, ან საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას აღრიცხვაზე ასაყვანად, თუ მას მოუხდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა.

2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივი სამსახური ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღეში დაადგინოს დევნილად ცნობის შესახებ განცხადების საფუძვლიანობა და აღძრას შუამდგომლობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინაშე პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

3. მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს პირის დროებით დევნილად ცნობა, სათანადო წესით მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებამდე, ხდება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ.

მუხლი 3. იმ პირის უფლებანი და მოვალეობანი, რომელიც განცხადებით მიმართავს დევნილად ცნობის თაობაზე

1. პირს, რომელიც ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად ითხოვს დევნილად ცნობას, განცხადების რეგისტრაციისას ეძლევა მიმართვა დროებით საცხოვრებელ ადგილზე მიმაგრების შესახებ, ამასთან, მას შეუძლია შეარჩიოს დროებითი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ნათესავთან ან ახლობელთან.

2. კონფლიქტის ზონიდან ახალგამოსული პირი, რომელმაც მიიღო ზემოაღნიშნული მიმართვა, სარგებლობს დროებით საცხოვრებელ ადგილამდე სახელმწიფო ტრანსპორტით ერთჯერადი უფასო მგზავრობისა და ბარგის უფასოდ გადატანის უფლებით.

3. პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობამდე, ალმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი ნორმებისა და წესის საფუძველზე სარგებლობს შემდეგი შეღავათებით:

— იცხოვროს დროებით საცხოვრებელ ადგილზე და ისარგებლოს უფასო კომუნალური მომსახურებით;

— მიიღოს სურსათი დევნილთათვის დაწესებული ნორმის ფარგლებში;

— ისარგებლოს სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში უფასო მომსახურებით;

—მიიღოს ერთჯერადი ფულადი და სხვა სახის სახელმწიფო დახმარება.

4. პირი, რომელმაც განცხადებით მიმართა დევნილად ცნობის თაობაზე, ვალდებულია:

— შესაბამის ორგანოებს მიაწოდოს განცხადების განხილვისათვის საჭირო მონაცემები დადგენილი წესის მიხედვით;

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნისთანავე გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

5. განცხადების რეგისტრაციაზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივი სამსახურის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან უარის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთ თვეში.

მუხლი 4. დევნილად ცნობის წესი

1. დევნილად ცნობის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან ერთ თვეში.

2. დევნილად ცნობილ პირს ეძლევა მოწმობა, რომლის ფორმას ადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

3. მონაცემები დევნილი პირის ოჯახის არასრულწლოვანი წევრების შესახებ შეიტანება ერთ-ერთი მშობლის მოწმობაში.

4. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უარი დევნილის სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სასამართლო წესით საქმის განხილვამდე პირი, რომელმაც განცხადებით მიმართა დევნილად ცნობის თაობაზე, სარგებლობს ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული უფლებებით და შესაბამისად აკისრია მოვალეობები.

მუხლი 5. დევნილის უფლებების უზრუნველყოფა დროებით საცხოვრებელ ადგილზე

1. დევნილის სტატუსის მქონე პირისათვის ყოველთვიური ფულადი შემწეობის სურსათისა და სხვა სახის დახმარების ნორმას და გაცემის წესს ადგენენ ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები.

2. დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ალმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც:

— ეხმარებიან დროებით დასაქმებაში, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

— დევნილობის პერიოდში აძლევენ ერთდროულ და ყოველთვიურ შემწეობას ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი წესით;

— უწევენ უფასო სამედიცინო დახმარებას. სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის საფასურს, სახელმწიფო სტანდარტისა და ტარიფის ფარგლებში, დადგენილი წესით ანაზღაურებს სახელმწიფო;

— ხეიბრებს, ხანდაზმულებს, ბავშვებსა და მარჩენალდაკარგულ ოჯახებს უზრუნველყოფენ უფასო მედიკამენტებით;

— უზრუნველყოფენ დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე;

— წყვეტენ დევნილის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს;

— ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;

— უზრუნველყოფენ დროებითი საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში;

— გამოუყოფენ მიწის ნაკვეთებს დროებითი სარგებლობის უფლებით;

— მონაწილეობენ რეგიონში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაღუპულთა სამარხებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების ღონისძიებებში;

— ამ კანონის პირველ მუხლში მითითებული მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, ეხმარებიან დევნილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებაში.

მუხლი 6. დევნილის სტატუსის შეჩერება, დაკარგვა და ჩამორთმევა

1. პირის დევნილის სტატუსი შეჩერდება:

— თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას;

— პირის ერთდროულად რამდენიმე რეგიონში დევნილად რეგისტრირებისას;

2. პირი კარგავს დევნილის სტატუსს:

— სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას;

— მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლისას;

— საქართველოს რომელიმე რეგიონში მუდმივად დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარებისას, სადაც არ არსებობს ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზები;

— მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების რეალურად არარსებობისას.

3. პირს ჩამოერთმევა დევნილის სტატუსი, თუ გამომჟღავნდება, რომ სტატუსი მიიღო ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე.

4. დევნილის სტატუსის დაკარგვის, შეჩერების ან ჩამორთმევის საკითხს წყვეტს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

5. დევნილის სტატუსის დაკარგვაზე, შეჩერებასა ან ჩამორთმევაზე დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რეაბილიტაციის სახელმწიფო გარანტიები

თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, დაბრუნდება საცხოვრებელ ადგილას:

ა) ალმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისათვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს სესხის გაცემის წესს.

მუხლი 8. დევნილთათვის დახმარების ორგანიზება

1. დევნილთა მიღების, სტატუსის მინიჭების, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის, დასაქმების და სხვა სოციალურ საკითხებს წყვეტს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შესაბამისი ალმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში.

მუხლი 9. დევნილის უფლებების გარანტია

1. დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

2. თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დევნილთათვის დახმარების ფინანსური წყაროები

1. დევნილთათვის ამ კანონის შესაბამისად გაწეული ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. დამატებითი დაფინანსების წყაროა საბიუჯეტო სარეზერვო ფონდები, ფიზიკური და იურიდიული პირების შეწირულობანი, უცხოეთის სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 28 ივნისი.

ოფიციალური ინფორმაცია

1996 წლის საშემოდგომო ხვნა-თესვა: განხორციელებულია აუცილებელი ღონისძიებები

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1996 წელს პროგნოზით გათვალისწინებული აქვს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დაითესოს 185 ათას ჰექტარზე, მათ შორის ხორბალი — 145 ათას ჰექტარზე.

საშემოდგომო კულტურების დასათესად ფართობების დროულად მომზადებისა და 1997 წლის მოსავლის მარცვლეულის წარმოების გადიდების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებსა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ მიიღონ სათანადო ზომები მიწათმოსარგებლეთა საწარმოო მომსახურების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც სრულ წესრიგში მოიყვანონ საჭირო ტექნიკა, უზრუნველყონ მისი გამართული მუშაობა და ყაირათიანი გამოყენება; განახორციელონ ღონისძიებები საშემოდგომო მარცვლეული კულტურების საჭირო რაოდენობის ხარისხიანი კონდიციური თესლის გამოყოფისა და წმენდა-დახარისხებისათვის; მიიღონ ზომები საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროვადებში განხორციელებისათვის საჭირო საწვავ-საპოხი მასალების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და მარაგნაწილების დროულად შესაძენად; თესვისათვის გამოიყენონ დარაიონებული ჯიშების სერტიფიცირებული სათესლე მასალა, შემოწმებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის სამსახურების მიერ, ხელი შეუწყონ მარცვლეულის მწარმოებლებს, მათ შორის ფერმერებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მიწის ფართობების იჯარით გამოყოფის, ნიადაგის საშემოდგომო თესვისათვის მომზადების და ხარისხიანი სათესლე მასალის შესყიდვის საქმეში, ამასთან განსაზღვრონ საჭირო თესლის მოცულობები და მიიღონ სათანადო ზომები დეფიციტის დროულად შესავსებად, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ საპარტნიორო ფონდიდან გამოყოფილი კრედიტები.

პრეზიდენტის განკარგულებით სახელმწიფო ჰოლდინგურ კომპანია „საქნავთობპროდუქტებს" დაევალა ღირებულების წინასწარი ჩარიცხვის შემდეგ ორ კვირაში უზრუნველყოს რაიონებში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის საჭირო დიზელის საწვავის შეზიდვა.

შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის **ნიკო ლეკიშვილის** თავმჯდომარეობით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით მოლაპარაკებების დაწყების შესახებ

საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ინტერესების სრული დაცვის, ვაჭრობაში საერთაშორისო შეზღუდვების თავიდან აცილების, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მკვეთრი შემცირების, გლობალურ სავაჭრო სისტემაში ჩართვის, საქართველოში წარმოებული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასვლის გაადვილების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა კომისია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის **მიხეილ უკლებას** თავმჯდომარეობით.

კომისიას დაევალა სრული მოცულობით განახორციელოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის საჭირო პროცედურა; გასწიოს ერთობლივი სამუშაოები ევროკავშირთან, მსოფლიო ბანკთან, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ცენტრთან და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან აღნიშნული პრობლემების ეფექტიანად და ოპერატიულად გადასაჭრელად.

შეიქმნა „სურათების ეროვნული გალერეისა და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმის პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი

„სურათების ეროვნულ გალერეასთან" და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ეროვნულ მუზეუმთან დაკავშირებით მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის მწვავე პრობლემების შესწავლისა და შესაბამის წინადადებათა შემუშავებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილების უფროსის **კობა იმედაშვილის** ხელმძღვანელობით.

სამუშაო ჯგუფს დაევალა ორ კვირაში წარმოადგინოს შეთანხმებული წინადადებანი.

საქინფორმი.

„ბორჯომი" მტკვარში იღვრება
წყალს გატანებული მილიონები

„განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სრულად არ არის ათვისებული მინერალური წყლის „ბორჯომის" რესურსი, რომელსაც შეუძლია სერიოზული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში. ამ მინერალური წყლის წარმოების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ის გარემოება, რომ ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა უხარისხო და ფალსიფიცირებული „ბორჯომის" ჩამოსხმა და რეალიზაცია.

არსებული მონაცემებით საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში, ბელორუსიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს ათობით რეგისტრირებული და კიდევ უფრო მეტი არარეგისტრირებული კუსტარული საამქრო და წარმოება, რომლებიც ტექნოლოგიური დისციპლინისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების სრული უგულებელყოფის პირობებში უშვებენ ფალსიფიცირებულ და უხარისხო პროდუქციას, რომელიც შემდეგ სამომხმარებლო ბაზარზე „ბორჯომის" სასაქონლო ნიშნების გამოყენებით გამოდის.

დაუცველია „ბორჯომის" მინერალური წყლის საბადოები, საიდანაც წყლის მოპოვება სრულიად უკონტროლოდ მიმდინარეობს, რაც ქმნის მათი დაბინძურების დიდ საშიშროებას, ილახება საქვეყნოდ ცნობილი მინერალური წყლის პრესტიჟი, საფრთხის ქვეშ დგება მომხმარებლის ჯანმრთელობა და საწარმოთა შორის იქმნება არაჯანსაღი კონკურენცია, რაც საბოლოო ანგარიშით ნატურალური „ბორჯომის" წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბის გაზრდის საქმეს აფერხებს".

ამ ვრცელ ციტატაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 1996 წლის 8 მაისის განკარგულებიდან ამოვიღეთ, მართლაც რომ მძიმე სურათია დახატული. არაფერს დავამატებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამავე განკარგულებით ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა „ბორჯომის" სარგებლობისა და ჩამოსხმის ლიცენზიების გაცემა. მინერალური წყლის „ბორჯომის" წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებისა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედების მიზნით შეიქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

კომისიას დაევალა შეიმუშაოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ბორჯომის" სახელმწიფო სტრატეგიულ რესურსად გამოცხადების თაობაზე, მოამზადოს და წარმოადგინოს წინადადებები ბორჯომის ხეობის ეროვნულ პარკად გამოცხადების, № 1 და № 2 „ბორჯომის" ჩამომსხმელი ქარხნების სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენების, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, მინერალური წყლის ჩამოსხმისა და რეალიზაციის სფეროში ფალსიფიკაციის აღკვეთის, სახელმწიფო საწარმოებში მართვის მექანიზმის სრულყოფის და მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა შესახებ.

როგორც შევიტყვეთ, კომისია აქტიურად მუშაობს, ატარებს სხდომებს, შემუშავებულია ერთიანი მოქმედების კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვით იქმნება პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი. ცოტაც და ბრძანებულებაც გვექნება, რომელიც მოაწესრიგებს „ბორჯომის" წყლის წარმოება-რეალიზაციის საკითხებს.

მხოლოდ „ლიფსიტები" მუშაობენ

ჩვენ ბრძანებულებას აღარ დავუცადეთ და ბორჯომის ხეობას ვეწვიეთ, როგორი სურათი დაგვხვდა იქ?

რა პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ბორჯომში ახლა გარკვეულწილად მხოლოდ კერძო სტრუქტურები მუშაობენ. ეს არის ბორჯომის მეწარმეთა კავშირში შემავალი მცირე საწარმოები, ეგრეთწოდებული „ლიფსიტები", რომლებიც დღემუდამ იმის ცდაში არიან, უვნებლად გადაურჩნენ უფრო დიდ მტაცებელ თევზებს — ჩამომსხმელ ქარხნებს. როგორც ავი ენები ამბობენ, არც ამ უკანასკნელთ ჰქონიათ დალხენილი ცხოვრება — არსებობენ „ღლავები", რომლებიც მათ გადაყლაპვას ლამობდნენ...

არსებობს კიდევ „ბორჯომის" ჩამომსხმელი, ასე ვთქვათ, „საოჯახო საამქროები", სადაც წყალს ხშირ შემთხვევაში ავტოგარაჟებში, სარდაფებში, ფიცრულებში ან სულაც საოჯახო აბაზანებში ასხამენ (ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ სატელევიზიო გადაცემამაც აჩვენეს) ყოველგვარი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფით. თუ მეწარმეთა კავშირის წევრი საწარმოები რეგისტრაციაში არიან გატარებული და ცალკე იურიდიულ პირს წარმოადგენენ, „საოჯახო საამქროებს" თვლა არა აქვს და არც არავინ იცის, როგორია წყლის ჩამოსხმის ტექნოლოგია, რამდენს ასხამენ, სად მიაქვთ და როგორ ჰყიდიან.

გამგებელი კონკურენციის მომხრეა

ამის თაობაზე საუბარი გვქონდა ბორჯომის გამგებელთან ვაჟა ბერიძესთან. იგი, როგორც რაიონის თავკაცი და პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი კომისიის წევრი, რა თქმა უნდა, „ბორჯომის" წყლის პრობლემებით ფრიად დაინტერესებულია.

ბატონი ვაჟა დარწმუნებულია, რომ „ბორჯომს" ხარისხის მხრივ არაფერი „სტკივა". საამისო დოკუმენტაციაც აქვს — „ანგარიში", რომელიც „საქსტანდარტის" ეგიდით შექმნილ სპეციალისტთა ჯგუფმა 12-19 ივნისს ჩატარებული შემოწმების შედეგად დატოვა. მათ შეუსწავლიათ № 1 და № 2 ჩამოსხმული ქარხნები და ბორჯომის მეწარმეთა კავშირში გაერთიანებული 14 საწარმო. აქტებში აღრიცხულია თითოეული ობიექტის მდგომარეობა, აღჭურვილობა, სიმძლავრეები და სინჯების აღების პროცედურა. რაც მთავარია, ყველა შემოწმებულ საწარმოს აქვს მინერალური წყლის ჩამომსხმელი დანადგარი, დაცულია ჩამოსხმის ტექნოლოგიით გათვალისწინებული ყველა პირობა. პროდუქცია თავისი ქიმიური შედგენილობით და მიკრობიოლოგიური მახასიათებლებით უპასუხებს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

ეს კი, მაგრამ იმავე საწარმოებში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) გამოყენებული გამზომი ხელსაწყოები რომ დაუდალავია?

№ 1 ქარხნის ჩამომსხმელ საამქროებში წვიმის წყალი რომ ჩამოდის?

№ 2 ქარხანაში დაგროვილი უხარისხო ბოთლების მთები რომ დგას? (ბოთლების უხარისხობის გამო წყალი იღვრება, მუყაოს ყუთები სველდება და იშლება, რაც ბოთლების მსხვრევას იწვევს).

კერძო საწარმოების დიდი უმრავლესობა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების გარეშე რომ მუშაობს?

საწარმო „სავანელს" ჩამოსასხმელი ხაზი რძის კომბინატში რომ დაუმონტაჟებია და მიკრობიოლოგიური გაბინძურების საშიშროებას ქმნის?

ყოველივე ეს, დავიჯეროთ, „ბორჯომის" ხარისხზე გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენს?

აღარაფერს ვამბობთ ზემოთ ნახსენებ „საოჯახო საამქროებზე", სადაც ტექნოლოგიისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე საერთოდ ლაპარაკიც არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ასეთებს (მათ არც ლიცენზიები აქვთ) ადმინისტრაციული და მაკონტროლებელი ორგანოები, სანეპიდსადგური უნდა უკრძალავდნენ მუშაობას, მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი „თვალს ხუჭავენ", ადგილობრივი ხელისუფალნი რატომღა ყურდებიან?

ისე, ულიცენზიო, „საოჯახო საამქროების" მიმართ არა, მაგრამ ლიცენზიიანი კერძო საწარმოებისადმი გამგებელი აშკარად სიმპათიურად არის განწყობილი. ალბათ, იმიტომ, რომ ისინი უფრო მოქნილი და ოპერატიული არიან, ვიდრე დიდი ქარხნები, ყოველთვის ახერხებენ პროდუქციის შექმნას და გასაღებას.

თუმცა დღეს, როცა ბაზარი როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ გაჯერებულია უხარისხო, ფალსიფიცირებული „ბორჯომით", რომელ ჯანსაღ კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი? სიჯანსაღეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯერჯერობით ბაზარზე მცირე, კერძო საწარმოები რომ ჩაგრავენ მონსტრებს, ეს ფაქტია.

მონსტრები დუმან

ბორჯომის № 1 და № 2 ჩამომსხმელი ქარხნების საამქროები, ხაზები, დამხმარე უბნები, თითქოს რაღაც უხილავი ძალის ნებას დაჰყვნენო, გაჩერებულია. მუშები სამუშაოდ აღარ გამოდიან, ვინც გამოდის, ისიც დროის მოსაკლავად, დომინოს სათამაშოდ.

როცა ბოთლში „ბორჯომს" ასხამენ, ბიუჯეტში ლარი შედის. ისეთი მცირე სამრეწველო სიმძლავრისა და მწირი სასოფლო-სამეურნეო რაიონისათვის, როგორიც ბორჯომია, სადაც საკურორტო მომსახურება მთავარი „ინდუსტრიაა", „ბორჯომი" დიაღაც მისწრებაა რეგიონის ეკონომიკისათვის, მაგრამ რაღ გინდა, ჩამომსხმელი ქარხნები არ მუშაობს, ბორჯომის წყალი პირდაპირ მტკვარში იღვრება, მის ნახევარსაც ვერ იყენებენ (ასეთ შემთხვევაში ამბობენ, წყალს გაატანეს მილიონებიო). თუმცა სოფელ ყვიბისში, სადაც „ბორჯომის" რამდენიმე წყაროა, ერთგვარი გამოყენება მაინც მოუძებნეს: აქაურები მასში პატარებს აბანავებენ და სარეცხსაც მშვენივრად რეცხავენ.

— გარდა ამისა, რომ ეს წყალი კუჭ-ნაწლავის, პანკრეატიტის, ღვიძლის, სანაღვლე გზების ქრონიკული და ნივთიერებათა ცვლის სხვა დაავადებათა მკურნალია, — გვითხრა ყვიბისში, ერთმა წერა-კითხვის უცოდინარმა დედაბერმა,

ასეთი სასწაულმოქმედი წყლით გახარებულებმა (ტყუილად კი არ გაიძახოდნენ ამ ექვსი წლის წინათ ხალხმრავალ მიტინგებზე: „ჩვენ მარტო ჩვენი „ბორჯომი" გვაცხოვრებსო") იქვე, № 2 ჩამომსხმელ ქარხანაში შევიარეთ. დირექტორი ავად არისო, გვითხრეს, მაგრამ არც წარმოება გამოიყურებოდა მაინცდამაინც ჯანმრთელად: გიგანტი ჩამომსხმელი ქარხანა იდგა და არც იცოდა, რისთვის ან ვისი მიზეზით.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მიზეზი ერთი და ორი როდია. იმის გამო, რომ მცირე საწარმოები დაბრუნებული ბოთლებით მუშაობენ და სხვა მიზეზთა გამოც, მათი პროდუქცია სახელმწიფო სექტორთან შედარებით 7-9 თეთრით იაფია. თითქოს საბაზრო ეკონომიკისათვის ალოგიკური ვითარება იქმნება — ქარხანა, სადაც თვეში ერთცვლიანი მუშაობის პირობებში შეიძლება ჩამოისხას 5 მილიონი ბოთლი, კონკურენციას ვერ უწევს მცირე საწარმოებს, სადაც თვეში ათობით, გნებავთ ასობით ათას ბოთლ „ბორჯომს" უშვებენ — გიგანტის პროდუქცია უფრო ძვირია და არ იყიდება.

ჩამომსხმელი ქარხნების ამოქმედებას (საცაა ზაფხულიც გავა!) ხალხიც ელოდება და მევალეების დიდი ჯგუფიც. საქმე ისაა, რომ ბევრმა მათგანმა გასულ წლებში დიდი ოდენობით ცარიელი ბოთლი შეიტანა, შესაბამისი თანხაც გადაიხადა, ბორჯომის წყალი კი მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ წაიღო. შემდგომში ჩამომსხმელ ქარხნებში მოვლენები დრამატულად წარიმართა, მათ ისეთი პატრონები გამოუჩნდნენ, რომ მევალეები ქარხნებს შიშით სათოფეზეც ვეღარ ეკარებოდნენ. ასე დაემართა ბორჯომელ კარლო ზარნაძეს და მის ფირმა „ტალღას". ფირმამ 1993 წლის ნოემბერში № 1 ჩამომსხმელ ქარხანაში 80 ათასი ნახევარლიტრიანი ბოთლი შეიტანა იმ გარანტიით, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე მინერალურ წყალს გაიტანდა. გაფორმდა ხელშეკრულება, გაზაფხულზე მოულოდნელად დირექტორი გაათავისუფლეს და იქაურობას „მხედრიონი" დაეპატრონა... შარშან შემოდგომიდან ქარხნის დირექტორად მიხეილ თედიაშვილი მუშაობს.

თუ დირექტორის ნათქვამს ვერწმუნებით, წლეულს ქარხანამ ყველაზე მეტი პროდუქცია მაისში გამოუშვა — 2,5 მილიონი ბოთლი „ბორჯომი", ივნისში — 1 მილიონი ბოთლი. ვალების დაბრუნებაზე დირექტორს გაგონებაც არ უნდა: ვინც ბოთლები მიიღო, „ბორჯომიც" იმან გაატანოს, მე იმ ბანდიტების სამართალმემკვიდრე არა ვარო. სათუო, ლოგიკას მოკლებული მსჯელობაა; საქმე ის არის, რომ ფირმა „ტალღამ" მხედრიონის მოსვლამდე შეიტანა ქარხანაში ბოთლი, სწორედ იმ დირექტორის დროს (გ. ჩაჩანიძე), რომელიც მხედრიონმა აიძულა ქარხნიდან წასულიყო. მხედრიონი სცენიდან გავიდა და კულისებში გამოჩნდა ახალი, დღევანდელი დირექტორი. ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორად კი, როგორც მოგეხსენებათ, ძალით არავის ნიშნავენ.

და თუ მართლაც საქართველოს პროკურატურაში № 1 ჩამომსხმელი ქარხნის საქმის შემოწმების დამთავრებამდე საწარმოს აკრძალული აქვს ვალების გასტუმრება (დირექტორი ამას იმიზეზებს), ამის თაობაზე თავაზიანად და ადამიანურად უნდა უთხრას თავის მევალეს და არა ისე, რომ მოსული საკუთარ კაბინეტშიც კი არ შეუშვას.

გულსატკენია, რომ ქარხანას ვერც სხვა პრობლემებისთვის მოუბამს თავი. იმის გამო, რომ სარკინიგზო ხიდში შპალებია აყრილი, საწარმოში დღემდე ვერ შემოუტანიათ 20 ვაგონი ცარიელი ბოთლი, რომელიც აგერ უკვე 10 დღეა ბორჯომის რკინიგზის სადგურში დგას.

ამასობაში „ბორჯომი" უპატრონოდ მოჩუხჩუხებს ჭაბურღილებიდან და თუმცა მისი წარმოება მინიმუმამდეა დასული, მაინც წყალმა მოახერხა გზა გაეკვლია სანქტ-პეტერბურგისაკენ, სადაც ამ გაზაფხულზე ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების დიდი საერთაშორისო სადეგუსტაციო კონკურსი გაიმართა. „ბორჯომი" ოქროს მედლითა და საპატიო დიპლომით გამოისტუმრეს საქართველოში.

დაბრუნდა თავის ქალაქში ოქროსმედალოსანი „ბორჯომი" და კვლავ თავის ჭაბურღილში ჩაძვრა იმ იმედით, რომ ოდესმე დადგება დრო, როცა ჩამომსხმელი ქარხნები სრული სიმძლავრით ამოქმედდებიან და „ბორჯომის" ერთ დროს აღიარებულ სახელს კვლავ ქვეყნიერებას მოჰფენენ.

„ბორჯომი" ამოყვინთავს

დიახ, თუ ბაზარი იქნება, მოსალოდნელია, რომ „ბორჯომმა" იოლად ამოყვინთოს. იყო დრო, როცა აქაური ქარხნები წლიურად 450.000.000 ბოთლ მინერალურ წყალს ასხამდნენ და იყიდებოდა კიდეც. ბაზარი გვქონდა და იმიტომ — საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში დიდი სიამოვნებით მიირთმევდნენ შუშხუნა და თავანკარა „ბორჯომს". ახლა ეს ბაზარი დაკარგულია (დაკარგვა იოლია, დაბრუნება ძნელი), მთელ რუსეთში და სხვაგანაც მომრავლდა ჩამოსასხმელი ქარხნები თუ საამქროები, რომლებიც ლამაზად გაფორმებული ბოთლებითა და ეტიკეტით მომხმარებელს სთავაზობენ ადგილობრივი წარმოების ქლორითა და იოდით შეზავებულ „ქართულ ბორჯომს".

ასეა და რას იზამ, ახლა იმათ ძნელად დაარწმუნებ, რომ ჩვენებური ნატურალური „ბორჯომი" სჯობს იქაურ ფალსიფიცირებულს. იქაურ პრესაში გაჩნდა წერილებიც, რომლის ავტორები „ამტკიცებენ", რომ ცელოფანის ბოთლებში ჩამოსხმული მინერალური წყალი (ასეთი ბოთლით ზოგი ჩვენი კერძო საწარმოც სარგებლობს) საწამლავია და მეტი არაფერი.

გული მაინც არ უნდა გავიტეხოთ, მით უფრო, რომ საბაზრო ეკონომიკისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია; ჩვენ კონკურენტუნარიანი პროდუქცია შევქმნათ და ის დღეს თუ არა ხვალ მაინც გავა ბაზარზე. ამის გარანტიას იძლევა № 1 და № 2 ქარხნებთან ჩამოყალიბებული ერთობლივი საწარმო „ჯორჯიან ტრანს მინერალ ვოთერსი", რომელთანაც ხელშეკრულება ამ დღეებში გაფორმდება. იგი კისრულობს ბოთლების, ეტიკეტის, საცობის და სხვა დამხმარე მასალების შემოტანას, საზღვარგარეთის ქვეყნებში „ბორჯომის" სასარგებლო პროპაგანდას და მინერალური წყლის ბაზრით უზრუნველყოფას.

აგაშენა ღმერთმა. თუ ბაზრის პრობლემა გადაწყდა და პრეზიდენტის ბრძანებულებით „ბორჯომის" წარმოება და რეალიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა გახდა, ჩვენ ბედს, როგორც იტყვიან, ძაღლი არ დაჰყეფს.

...ბორჯომიდან თბილისისკენ მომავლებს უკვდავების წყალთან დაკავშირებით აბესალომისა და მურმანის დუეტი გაგვახსენდა. „ბორჯომის" უკვდავებაზე რა მოგახსენოთ (ჯერჯერობით ის ნამდვილად მოკვდავის როლშია), მაგრამ თუ მას მტკვრიდან ბოთლებში მივუშვებთ, მართლაც ეგებ ცოტა მოვჯობინდეთ!

ოთარ ხუციშვილი,
გურამ ჭაჭაკიძე.

სამართალი

რაც მოასწრეს, დაიტაცეს და... კანონიერი ხელისუფლება ვართო

ვინ არის მართალი?

საოცარი ამბები ხდება ჩვენს დღევანდელ „დამოუკიდებელ" პრესაში: აიღებ ერთ გაზეთს და, ცამდე მართალია ლოთი ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა, სოსო ელენტი... აიღებ მეორე გაზეთს და, ასევე ცამდე მართალია ჯაბა იოსელიანი, გოგა ხელაშვილი, დოდო ბუგეშაშვილი...

მათ მიერ დატრიალებული ტრაგედიების მიუხედავად, ზოგს ერთი მხარე გამოჰყავს მამა აბრამის ბატკნად, ზოგს მეორე მხარე — სამშობლოს თავდადებულ რაინდად... არადა, ყველამ კარგად იცის, რომ ერთ მხარეს ჰირის დღესავით ეზარება მეორე, მეორე მხარეს კი — პირველი. და ეს რატომლაც „არ იცის", უფრო სწორად, ვითომ არ იცის ზოგიერთმა კოლეგამ.

რატომ ვითომ? ისინი ყოველ დღე იქ არიან, — უზენაეს სასამართლოში. ცალკერძ აქ ასამართლებენ ლოთი ქობალიას ხალხს, ცალკერძ — ჯაბა იოსელიანისას, ლოთი ქობალიას „ხალხი" ციხიდან სასამართლოში წამოსვლისას არ ჯდება ჯაბა იოსელიანის „ხალხის" მანქანაში... არა ჯდება პროტესტის ნიშნად, თუ უნდობლობის გამო.

ყოველივე ამაზე ეს „დამოუკიდებელი" პრესა კრინტსაც არა სძრავს, თვალს ხუჭავს. თუმცა მარტო ამაზე? როცა თავისი საკბილოა, რწყილს აქლემად აქცევს, როცა არა — პირში წყალს იგუბებს. წავიდეს მკითხველი და თავი იმტვრიოს, თუ რა ითქვა ლოთი ქობალიასა და სხვათა პროცესზე 10, 11, 12, ასევე 15, 16, 17 ივლისს.

სწორედ ამ დღეებში ზოგიერთმა გაზეთმა ამ სასამართლო პროცესიდან კორიანტელის დასაყენებლად იცით რა თემები წამოსწია წინ? ლოთი ქობალიას საზოგადოებრივი დამცველის თამილა ლომიშვილის მოწმედ გადაყვანა და ამ უკანასკნელის მიერ შიმშილობის დაწყება, ნუგზარ მოლოდინაშვილისათვის ახალი ადვოკატის დანიშვნა და ამის გამო მოსამართლესთან განსასჯელის მიწერ-მოწერა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი ნუგზარ მოლოდინაშვილის მიმართვა და ამ უკანასკნელის მიერ შიმშილობის გამოცხადება, ზვიად ძიძიგურისა და ნუგზარ მოლოდინაშვილის გააფთრებული ჩარევის შედეგად ჩვენი პატიმრის(!) ზელიმხან ესმურზაევის გათავისუფლება და ჩვენგან ზღვა სიხარულის გადმოღვრა. (?), ციხის № 1 საგამოძიებო იზოლატორში ლოთი ქობალიას გვერდით თენგიზ კიტოვანის გადაყვანა, ნუგზარ მოლოდინაშვილის საქმის ცალკე გამოყოფა, პირიქით, სოსო ელენტის საქმის ლოთი ქობალიას საქმესთან გაერთიანება და...

კიდევ რა ჩამოვთვალოთ? გეთანხმებით, ეს საკითხები მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარია, ძირითადია? არა! მთავარი და ძირითადი იქ სხვა იყო...

ვინ არის მტყუანი?

კარგა ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო ნუგზარ მოლოდინაშვილის ადვოკატის ილია ნანობაშვილის ავადმყოფობით და მის მაგივრად ადვოკატ გივი მორჩილაძის დანიშვნით, უზენაეს სასამართლოში კვლავ განახლდა ლოთი ქობალიას და სხვათა პროცესი. ამჯერად მოწმეები ჩამოვიდნენ ფოთიდან, ზუგდიდიდან...

როგორც ვიცით, აფხაზეთში ჩვენი დამარცხების შემდეგ ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა დრო იხელთეს და ერთიანად შეუტიეს სამტრედიას, ხონს, ლანჩხუთს, ვანს, ფოთს...

ფოთში ისინი შევიდნენ 1993 წლის 2 ოქტომბერს და იქ დაჰყვეს 26 ოქტომბრამდე. პირველ რიგში დაეპატრონენ იმ ობიექტებს, საიდანაც ქონი გამოდინებოდა. ცხადია, უმალ ნავსადგურს მიადგნენ. დახვდათ კიდეც იქ ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ბრინჯი, კონიაკი.., არავითარი გაკითხვა, არავითარი აღრიცხვა, არავითარი ანაზღაურება...

კვალის დასაბნევად ნავსადგურში შედიოდნენ უნომრო სატვირთო ავტომანქანებით და ასე წალმაუკულმა გამოჰქონდათ სურსათი...

ლითონსაც წააწყდნენ. კარგი ფასი ჰქონდა საზღვარგარეთ. 7 თუ 8 გემი პირთამდე გაძეძგეს და უცხო ქვეყნების გზას გაუყენეს. ახლოს არავინ მიუშვეს. სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებიც გამოყარეს და თავად პორტისაც. ახლა მოწმეებად მოწვეული რევაზ გიორგაძე, ნუგზარ გურჯუა, დავით ბახუშვილი, მარლენ ლაკია ადასტურებენ ყველაფერ ამას.

ახლა გადავიდეთ ზუგდიდში. ეს ჩვენ „გადავიდეთ", თორემ თავად სულ იქ ისხდნენ. მოიგონეს, ალორძინების ფონდი შევქმნათ და ეს ქვეყანა „მართლაც ავალორძინოთო". შექმნეს. მის თავმჯდომარედ დანიშნეს სოსო ლაგვილავა. დაურეკა ერთ მშვენიერ დღეს ამ სოსო ლაგვილავამ ჩაის კომბინატის დირექტორს ლერი ჯიქიას, — 60 ტონა ჩაი გვინდა და სასწრაფოდ უნდა დაგვიმზადოო.

უარი მიიღო. არ იყო ამდენი ჩაი. ამ უარის შემდეგ საქმეში ჩაერია ლოთი ქობალია. სარდლის ჩარევა უკვე სულ სხვა რამეს ნიშნავდა. ქვა გაეხეთქა კი არა, ცა და დედამიწა უნდა შეეძრა და მისი ბრძანება შეესრულებინა. შეასრულა კიდეც. კომბინატის დირექტორი ლერი ჯიქია მივიდა თავის მოადგილესთან მურთაზ როგავასთან და განუცხადა, მე ლოთისთან კონფლიქტის თავი არა მაქვს, თბილისში მივდივარ და მაგ საქმეს როგორმე შენ მიხედეო.

მთლად უკანონობა და ძალადობა, დღისით-მზისით ყაჩაღობა გამოდიოდა. ამიტომ დადეს ხელშეკრულება ჩაის წაღების და 20 დღეში ფულის ანაზღაურების შესახებ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ლოთი ქობალიამ და მურთაზ როგავამ. ჩაი წაიღეს. ის ოცი დღეც გავიდა და ას ოციც. მიაკითხეს ლაგვილავას ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ცხრაჯერ... დამეკარგეთ აქედან, სადა გვაქვს მაგისი ფული, როცა ვიშოვით, მაშინ გაგისტუმრებთო.

ჩაილურის წყალი დალია იმ ვალმა, იმ ხალხის შრომამ, ვინც ის 60 ტონა ჩაი მოიწია, გადაამუშავა, მზა პროდუქციად აქცია. ეს ზუგდიდის ჩაიც ისე შეჭამა, როგორც ფოთის შაქარი, ხორბალი, ფქვილი, ბრინჯი...

ჰო, მართლა, იმ შვიდი თუ რვა გემიდან, რომლებიც საზღვარგარეთ „ჯართით" სავსენი გავიდნენ, შემდგომში ერთი კვლავ მოტრიალდა ფოთში მუქთა რეისზე. ნომერი აღარ გავიდა. მას აქ უკვე სამთავრობო ჯარები დახვდნენ. დააკავეს, წაღებული ტვირთის ფული გადაახდევინეს, მაგრამ დანარჩენებმა ვალი შეიტყაპუნეს.

ჰკითხეს ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესზე: რად გინდოდათ ამდენი ხორბალი, ფქვილი, ბრინჯიო... რადა და ჩვენი შეიარაღებული ფორმირებების გამოსაკვებადო. ეგ კარგი, მაგრამ იმ 60 ტონა ჩაისაც თქვენს ფორმირებებს ხომ არ შეაჭმევდითო. ეგ ჩაი მოსახლეობისათვის გვინდოდა, ზუგდიდში ბლოკადა იყო, პური არა ჰქონდა ხალხს და ბარტერული წესით უნდა გაგვეცვალაო.

კეთილი და პატიოსანი, ამას რა სჯობია, თუ ხალხზე ზრუნავ, თუ მის გამოსაკვებად დუნიას აჯერებ. მაგრამ სასამართლო პროცესზე ფოთის ვიცე-მერს ირაკლი მოწერელიასაც ჰკითხეს, ზუგდიდი მართლა ბლოკადაში გყავდათ, გრამს არაფერს უგზავნიდითო? რას ბრძანებთო, — უპასუხა, — ზუგდიდისათვის არაფერი მოგვიკლია, თუ რკინიგზა გვღალატობდა, ხორბალს ავტომანქანებით ვაწვდიდით.

აწვდიდნენ, მაგრამ ამათ თავიანთი მაინც გააკეთეს: გამოძიებით დადგენილია, რომ ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა იმ პერიოდში მარტო ფოთის ნავსადგურიდან უკანონოდ, უგზო-უკვლოდ გაიტაცეს 65 ტონა ხორბალი, 109 ტონა ბრინჯი, 414 ტონა შაქარი, 429 ტონა ნავთობპროდუქტები, 967 ტონა პურის ფქვილი, კონიაკი, ლითონი. აქ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით. ზოგი რამ სხვა სახელმწიფოსიც კი იყო. საერთოდ კი, რაც ფოთიდან გაიტაცეს, იმას ვინ აუვა, იმას ვინ იანგარიშებს...

ვინ იყო მბრძანებელი?

ახლა მოწმეები გაიძახიან, რეგიონს ეგენი აკონტროლებდნენ, წინ როგორ დავუდგებოდითო. მართაღნი არიან, — დაუდგებოდნენ და მიილებდნენ კიდეც...

ფოთის პორტიდან სადისპეტჩეროს მუშაკები ერთ-ერთ დატვირთულ გემს საზღვარგარეთ გასვლის უფლებას არ აძლევდნენ. იქაურობა ტყვიებით გადააცხრილეს, ერთ-ერთ პოლიციელს სცემეს...

როგორ ფიქრობთ, რას უზამდნენ ზუგდიდის ჩაის კომბინატის მუშაკებს, ის 60 ტონა მზა პროდუქცია რომ არ გაეტანებინათ?

ცხადია, პირზე არავის აკოცებდნენ. დირექტორის კაბინეტი ერთხელ აქაც გადააცხრილეს. შემდეგ კი იყო მუქარა: — თუ გინდა ცოცხალი გადარჩე...

მოდით, ცოტათი ისევ უკან დავბრუნდეთ, — ფოთში. აქ ლოთი ქობალიას „ბიჭები" მერიაში მიცვივდნენ. რა თქმა უნდა, — იარაღით. ქალაქის მერს რომან მელიას უბრძანეს ზუგდიდში წასულიყო. ამაზე ატყდა კამათი, ეს უკვე შენობის გამოსასვლელში. ბედზე იქ აღმოჩნდა რომან მელიას სიძე დავით პოპიაშვილი. მან ეშმაკურად გაითამაშა სცენა, თითქოს ექსპრეზიდენტის მომხრე გახლდათ და საკუთარ თავზე აიღო ქალაქის მერის „პატრონობა". ჩასვა იგი მანქანაში, იქაურობას გააცილა, შემდეგ კი „კომეტით" ზუგდიდის მაგიერ ბათუმში ჩაიყვანა.

— რატომ გაიქეცით ქალაქიდან? — ჰკითხეს რომან მელიას.

— ჩემი დახვრეტა სურდათ.

— მაინცდამაინც თქვენი?

— ხომ იცით, ცხელ გულზე ყოველთვის ხელმძღვანელს ადანაშაულებენ...

აქვე ვიტყვით, რომ მერს ცოტა მოგვიანებით ბათუმში გაჰყვნენ ვიცე-მერებიც, — გურამ დოლბაია და ირაკლი მოწერელია. საშიშროება, ალბათ, იმათაც ელოდათ და იმიტომ. უკან მობრუნდნენ მერე, როცა 26 ოქტომბერს ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა ქალაქი დატოვეს.

და კიდევ: ამ შეიარაღებულ ფორმირებებს აინუნშიც არ ჩაუგდიათ ფოთის ლიდერები, როდესაც ხორბლის, ჩაისა თუ ლითონის ბედსა სწყვეტდნენ; ყველაფერი თავიანთი ეგონათ და, აბა, ვის შეეკითხებოდნენ?.

თუმცა ეს რაა!

— ლოთი ქობალია ჩემთან შეხვედრისას ყოველთვის კავურად იქცეოდა, მაგრამ იგი მაინც არ მიყვარს, — თქვა რომან მელიამ.

— ჩვენ დღეს სასამართლოში ვართ და ყველაფერს ვერ ვილაპარაკებთ. დანარჩენს მერე ვიტყვით, როცა ერთმანეთს შევხვდებით, — პასუხი ლოთი ქობალიას ნაცვლად ჯამბულ ბოკუჩავამ გასცა.

ამ დღეს მან შემდგომი შეხვედრა აღუთქვა მოწმე მურთაზ როგავასაც. თუმცა მარტო ამ დღეს კი ჰრა, ჯამბულ ბოკუჩავას უკან მალე დაბრუნების იმედი სხვა დროსაც ბევრჯერ გამოუხატავს. არადა, საამისო სიტყვა განსასჯელმა კი არა, ბოლოს სასამართლომ უნდა თქვას.

ვინ არის შემსრულებელი?

სასამართლო პროცესზე დაზარალებულებსა და მოწმეებს საზოგადოებრივი დამცველები, განსაკუთრებით ადვოკატები, ხშირად ეკითხებიან: — ქობალიას იცნობთ? ბოკუჩავა გინახავთ? ძიძიგურს შეხვედრიხართ? მოლოდინაშვილს დალაპარაკებიხართ? მოწმე და დაზარალებული 500-ზე მეტია და ასეთ კითხვებზე ზოგი უპასუხებს, — არა!

ჰოდა, ამას მერე ხელზე იხვევენ: ხედავთ, განსასჯელებს არც კი იცნობენ, ესენი უდანაშაულონი არიან, ეს საქმე მათ არ გაუკეთებიათ, ეს ხალხი მათ არ დაუხოცავთ, ეს ტვირთი მათ არ გაუტაციათ და ა. შ. და ა. შ.

ცხადია, განსასჯელები ყველგან ვერც მივიდოდნენ და ყველას არც გაეცნობოდნენ. ისინი ხელმძღვანელები იყვნენ და მათ ბრძანებებს სხვები ასრულებდნენ. რა, ამისათვის პასუხი მათ არ მოეთხოვებათ?

ჩაიხედეთ სისხლის სამართლის კოდექსში, იქ ეს მომენტი სრულად არის განსაზღვრული.

თუმცა, ვიმეორებთ, საბოლოო სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას.

ბადრი იაშვილი.

ქვეყანაზე

მოუწოდებენ, დაიცვან „ოლიმპიური ზავი“

კაირო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ დიოგუ ფრეიტაშ დუ ამარალმა (პორტუგალია) ყველა სახელმწიფოს მოუწოდა დაიცვას „ოლიმპიური დაზავება" ოცდამეექვსე ოლიმპიადის დროს, რომელიც 19 ივლისს ატლანტაში გაიხსნა. დაე, ოლიმპიურ ასპარეზობათა ასი წლისთავის წელს სახელმწიფოებმა ყველაფერი იღონონ მტკიცე მშვიდობის მიღწევისათვის, იმის მიუხედავად, მონაწილეობენ თუ არა ისინი რომელიმე კონფლიქტში, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში გავრცელებულ დუ ამარალის მიმართვაში.

ავიაკატასტროფა თუ ტერორისტული აქტი?

ნიუ-იორკი. მაშველებმა ამ მომენტისათვის მოახერხეს ატლანტის ოკეანის წყლებიდან ამოელოთ ავიაკომპანია „ტრანსუორლდ ეირლაინზის" „ბოინგ-747" თვითმფრინავის ჰაერში აფეთქების შედეგად დაღუპული 125 კაცის გვამი. ზოგიერთი გვამი იმდენად არის დამწვარი, რომ იდენტიფიკაციას ძნელად ექვემდებარება. ტრანსპორტზე უსაფრთხოების ეროვნული კომისია ჯერჯერობით აფასებს თვითმფრინავის დაღუპვას, როგორც ავიაკატასტროფას და მას არ მიიჩნევს ტერორისტულ აქტად. იგი ხელმძღვანელობს ყველა საძიებო ოპერაციას. თუ რაიმე დამამტკიცებელს იპოვიან, რაც დაადასტურებს ლაინერში ბომბის აფეთქებას, მაშინ ოპერაციის ხელმძღვანელობას გამოძიების ფედერალური ბიურო დაიწყებს.

• • •

ამერიკის ავიაკომპანია „ტრანსუორლდ ეირლაინზის" თვითმფრინავი, შესაძლოა, ჩამოაგდეს „სტინგერის" ტიპის რაკეტით. ნიუ-იორკიდან პარიზში მიმავალი ავიალაინერის, რომელშიც დაიღუპა 228-ვე მგზავრი, კატასტროფის მიზეზების ასეთი ვარიანტი გაჩნდა ავიადისპეტჩერთა განცხადებების შემდეგ. როგორც მათ თქვეს, რადარის ეკრანზე აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაქრა „ბოინგ-747-100" და გაჩნდა რაღაც წერტილი, რომელიც სწრაფად მიიწევდა თვითმფრინავისაკენ.

მოითხოვენ კარაჯიჩისა და მლადიჩის დაპატიმრებას

პარიზი. ევროპარლამენტის დეპუტატებმა ხუთშაბათს ბოსნიაში განლაგებული საერთაშორისო ძალების სარდლობას მოსთხოვეს „დააპატიმროს ბოსნიელ სერბთა პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები" რადოვან კარაჯიჩი და რატკო მლადიჩი. დეპუტატთა აზრით, ისინი უნდა დააპატიმრონ ბოსნიაში არჩევნებამდე, რომელიც 14 სექტემბრისათვის არის დანიშნული. ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სწრაფი რეაგირების ძალთა სარდლობამ უნდა შეიმუშაოს იმ ორი სერბი ლიდერის დაკავების სამხედრო და ოპერატიული გეგმა, რომლებსაც საერთაშორისო ტრიბუნალი ბრალად სდებს სამხედრო დანაშაულს.

განგაში შეწყდა

დუბლინი. ირლანდიის უშიშროების ძალებს არ აღმოუჩენია ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ვითომდა ხუთშაბათს დღისით დადეს ირლანდიის დედაქალაქის ცენტრში „ოლსტერის თავისუფლებისათვის მებრძოლთა" დაჯგუფების პროტესტანტმა ექსტრემისტებმა. ექვსი საათის ძიების შემდეგ, რამაც მოშალა ქალაქის ცხოვრება, ანტიტერორისტული განგაში გააუქმეს. მაგრამ საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, გახიზნულ მოსახლეობას ნება დართეს სახლებს დაბრუნებოდნენ, განახლდა ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობა. პოლიციის აზრით, ტერორისტული აქციის საფრთხე იყო ფსიქოლოგიური იერიში — გაფრთხილება ოლსტერელ პროტესტანტ ექსტრემისტთა მხრიდან, რომლებიც ირლანდიის მთავრობას ბრალად სდებენ ჩრდილოეთირლანდიელთა საშინაო საქმეებში ჩარევას.

სტიქია ბობოქრობს

პეკინი. ძლიერმა წყალდიდობებმა, რომლებიც გრძელდება ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთში, გამოიწვიეს მეწყერი [illegible] ქვანახშირის მომპოვებელ მაღაროში. როგორც ცნობილი გახდა, მარტო გუანსიჯუანის ავტონომიურ რაიონში დაიღუპა 11 მაღაროელი. იუნანის პროვინციაში ტრაგედიამ შეიწირა კიდევ დაახლოებით 30 მეშახტე. ბევრი დაშავდა, ამჟამად წყალდიდობებთან დაკავშირებით ქვანახშირის მომპოვებელი დარგის მთელმა რიგმა ობიექტებმა შეაჩერეს მუშაობა, ხელისუფლებები სასწრაფო ზომებს იღებენ წარმოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ექო

„მოვითხოვთ შემოწმებულის გადამოწმებას“

რედაქციას უპასუხებენ: საქართველოს პროკურატურა და კონტროლის პალატა

საქართველოს პროკურატურა

გაცნობებთ, რომ ამ სათაურით „საქართველოს რესპუბლიკის" 1996 წლის 21 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა ღია წერილი არაკანონიერია და შორს დგას სინამდვილისაგან. ხსენებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო არ არის უფლებამოსილი და კომპეტენტური ადრე მათდამი დაქვემდებარებული ექსპერიმენტული ქარხნის პრივატიზების კანონიერების შემოწმების შედეგების მიხედვით შეაფასოს კონტროლის პალატისა და პროკურატურის მიერ მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების სისწორე, კონკრეტული მოტივების მიუთითებლად უწოდოს მას ტენდენციური და დაუსაბუთებელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1994 წლის 10 აგვისტოს ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ბალათურიამ იმ დროისათვის მოქმედი იჯარის საფუძვლების შესახებ კანონმდებლობის მე-14 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ გამოსცა უკანონო ბრძანება ექსპერიმენტული ქარხნისა და სს „კვებარომატკომპლექსს" შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომლის ბათილად ცნობა მხოლოდ და მხოლოდ საარბიტრაჟო სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს.

საარბიტრაჟო სასამართლომ 1994 წლის 9 სექტემბერს განიხილა ექსპერიმენტული ქარხნის საჩივარი და ინსტიტუტის ხელმძღვანელის ზემოხსენებული უკანონო ბრძანება გააუქმა. ამასთან, კანონიერად ჩათვალა ამავე საწარმოს საიჯარო ურთიერთობაზე გადასვლაც და მის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვაც.

ყოველივე ამის შემდეგ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და სამეცნიერო საბჭო უსაფუძვლო საჩივრებითა და წერილებით მიმართავენ ზემდგომ ორგანოებს და მოითხოვენ ჯერ კიდევ 1990 წელს იჯარაზე გადასული საწარმოს დაბრუნებას. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე შეისწავლეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, კონტროლის პალატამ, პროკურატურამ, სხვადასხვა უწყებებმა და კომისიებმა, რომელთაც ექსპერიმენტული ქარხნის პრივატიზება მიიჩნიეს კანონიერად, ღია წერილში სამეცნიერო საბჭო ამ საწარმოს კვლავ თავისად მიიჩნევს და უგულებელყოფს კომპეტენტური ორგანოების კანონიერ გადაწყვეტილებებს.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ღია წერილში მიუთითებს, რომ „სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 21 იანვრის № 16 ბრძანებულებით შესაბამის ორგანოებს დაევალათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებს დაუბრუნონ პრივატიზაციის საბაბით ჩამორთმეული ექსპერიმენტული ბაზები, მაგრამ ეს ბრძანებულება რატომღაც არ სრულდება". როცა ამას წერენ, ავიწყდებათ, რომ ეს საკითხი საერთოდ არ ეხება კანონიერი გზით პრივატიზებული საწარმოების დაბრუნებას. მით უფრო, რომ დასახელებული ქარხანა წარმატებით ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მომგებიანი საწარმო. სამაგიეროდ, ინსტიტუტი რატომღაც დუმს მისდამი დაქვემდებარებულ იმ რვა უმოქმედო საწარმოზე, რომლებიც არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია, ზოგ მათგანში კი სახეზეა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავების, დანაკლისებისა და სხვა სამართალდარღვევათა ფაქტები.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჯიუტად ეწინააღმდეგება, არ ასრულებს შემმოწმებელთა კანონიერ მოთხოვნას საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე, არაფრად მიიჩნევს კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილ დარღვევებს, არ ასრულებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურატურის კანონიერ მოთხოვნებს ნ. ბალათურიას მიერ თვითნებურად დალუქული ლაბორატორიის დაუყოვნებლივ გახსნის შესახებ, რომლის შრომითი კოლექტივი უმოქმედოდ და უხელფასოდ არის.

საქართველოს პროკურატურა ვერ გამოაქვეყნებს შემოწმებადაუმთავრებელ მასალებს, რომლებზეც არ მომხდარა შესაბამისი საპროკურორო რეაგირება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის აკადემიამ, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მისმა ხელმძღვანელობამ, სამეცნიერო საბჭომ, შრომითმა კოლექტივმა უამბიციოდ უნდა განიხილონ შემოწმების პირველადი შედეგები, იმსჯელონ ინსტიტუტში ამჟამად არსებულ რთულ ვითარებაზე, დასახონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები უკვე გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ამასთან, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროკურატურას შემოწმების დამთავრებაში.

ვფიქრობთ, ინსტიტუტის ადმინისტრაციას უნდა აინტერესებდეს შემოწმების საბოლოო და ობიექტური შედეგები, რის შემდეგაც იგი უფლებამოსილია საფუძვლიანი საჩივრებით მიმართოს ნებისმიერ ინსტანციას.

აკაკი დაუთაშვილი,
საქართველოს პროკურატურის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს კონტროლის პალატა

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა ღია წერილში „მოვითხოვთ შემოწმებულის გადამოწმებას", ნათქვამია, რომ ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის უკანონო პრივატიზაციის საკითხი ერთობლივად შეისწავლეს საქართველოს კონტროლის პალატამ და პროკურატურამ... „მაგრამ მათ ამ საკითხზე მიიღეს ტენდენციური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც დაადასტურა კონტროლის პალატის მეორე კომისიის მიერ მოძიებულმა მასალებმა".

ასეთი განცხადება სიმართლეს არ შეეფერება. საზოგადოებაში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პალატის მეორე კომისიის მიერ ექსპერიმენტული ქარხნის პრივატიზაციის კანონიერების თაობაზე მოძიებული მასალები უარყოფენ პირველი კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნებს, მაშინ, როდესაც მეორე კომისიას უშუალოდ ეს საკითხი არც შეუსწავლია.

კონტროლის პალატას, მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, მიაჩნია, რომ ქარხნის პრივატიზაცია იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით არის განხორციელებული. „კვებარომატკომპლექსსა" და ექსპერიმენტულ ქარხანას შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულების კანონიერების სადავო საკითხი განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო მეთაურის აპარატის ეკონომიკური განყოფილების, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ინსტანციამ აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულება და ქარხნის პრივატიზაცია კანონიერად ცნო.

საქართველოს კონტროლის პალატის პრესსამსახური.

რედაქციისაგან:

ამ პუბლიკაციით „საქართველოს რესპუბლიკას" თავისი მისია ამოწურულად მიაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ თემაზე საუბარს ამით ვამთავრებთ.

ტელეძალადობა და ბავშვები

დემოკრატიის ორლესული მახვილი

ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება სიტყვისა და შემოქმედების თავისუფლებას ითვალისწინებს; და სწორედ ამიტომ, დემოკრატია გვევლინება იმ ორლესულ მახვილად, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს შემოქმედს ხელისუფალთა მხრივ შეზღუდვისა და ძალისმიერი აკრძალვებისაგან, და, მეორე მხრივ, გზას უხსნის ძალადობის პროპაგანდას.

ეს პრობლემა მარტოოდენ შეერთებულ შტატებში როდი დგას. იგი სულ უფრო მწვავე კამათის საგანი ხდება მთელ ცივილიზებულ სამყაროში, შეტადრე ბავშვის ფსიქიკაზე ძალმომრეობის ზემოქმედებასთან დაკავშირებით. მთელ რიგ ქვეყნებში აკრძალულია მოზარდთა დაშვება მოზრდილებისათვის განკუთვნილ კინოპროდუქციაზე. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში — 18 წლამდე, ჩვენში — 16 წლამდე ასაკის ყმაწვილთათვის. და, თუ ეს აკრძალვა ეფექტიანია კინოთეატრებისათვის, სადაც ბავშვს უბრალოდ არ შეუშვებენ დარბაზში, იგი აბსოლუტურად უშედეგოა ოჯახში, სადაც ბავშვი თითქოს ყველაზე მეტად უნდა იყოს დაცული ძალმომრეობისა და სისასტიკის პროპაგანდის ზემოქმედებისაგან, და სადაც მას თავისუფლად შეუძლია უყუროს ყოველგვარ ტელეპროგრამებსა და ვიდეოფილმებს.

აკრძალვამ ხშირად საპირისპირო შედეგიც შეიძლება გამოიწვიოს. გავიხსენოთ, თუნდაც ნოდარ დუმბაძის „გიგილო", სადაც მამა სამსახურში წასვლისას უტოვებს შვილს დაახლოებით ასეთი შინაარსის ბარათს: „არ ამოიღო ჩემი ჯიბიდან საწერი მაგიდის გასაღები, არ აიღო უჯრიდან ვაზნები, არ ჩადო თოფში, არ მიიდო თოფი შუბლზე, არ გამოჰკრა ჩახმახს..." მაგრამ გონივრული შეზღუდვები რომ საჭირო და აუცილებელია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როგორც წესი, საკმარისია, რაიმე მკვლელობა გახმაურდეს, რომ ყველა ალაპარაკდება ხოლმე, თურმე რა დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშვთა ფსიქიკაზე ძალადობის სცენების ჩვენება ტელეეკრანიდან. კატეგორიულად მოითხოვენ, აიკრძალოს ტელევიზიით შიშველი მკერდისა და გაშიშვლებული ვნებების, სასტიკი მკვლელობების ჩვენება. აკრძალვის მოწინააღმდეგენი კი გაჰკივიან: „ძირს ცენზურა! საჯაროდ ნაჩვენები მკვლელობა — ეს არის სინამდვილეში თავიდან აცილებული მკვლელობა! გაუმარჯოს ძალმომრეობას და მის განმანათლებელ ეფექტს!"

მაგრამ, ამ ბოლო დროს, სასწორის პინა თითქოს ძალადობის მგმობელთა მხარეს გადაიხარა. გაჩნდა ახალი ფაქტორი — დისკუსიაში თანდათან ებმებიან პოლიტიკოსები, უწინარეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებში, სადაც არასრულწლოვანთა დამნაშავეობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა და, სადაც ახალგაზრდობა გაცილებით უფრო მაღალი დოზით მოიხმარს სისასტიკით აღსავსე ტელეპროგრამებს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. კანადაში ძლიერდება ზეწოლა ფრიად გავლენიანი საოჯახო ასოციაციების მხრივ, რომლებიც მოითხოვენ სატელევიზიო „მცველების" (პროგრამების გადასარჩევად) შემოღებას.

მათ ფეხდაფეხ მისდევენ ევროპის ქვეყნები. მას შემდეგ, რაც 1993 წლის თებერვალში ორმა ლივერპულელმა ყმაწვილმა მოკლა პატარა ბავშვი (როგორც ამბობენ, იქამდე თურმე ძალადობის სასტიკი სცენებით აღსავსე ფილმი უნახავთ), მერე კი, ერთი წლის შემდეგ, ნორვეგიაში სამმა ბიჭმა — გოგონა, დღის წესრიგში კვლავ დადგა ტელევიზიით სისასტიკის ჩვენების აკრძალვის საკითხი. შვედეთის ორმა ტელეარხმა შეწყვიტა უსასტიკესი ძალადობის ამსახველი ტელესერიალების გადაცემა; იქამდე, ოცი წლით ადრე კინორეჟისორმა სტენლი კუბრიკმა თვითონ შეაჩერებინა თავისი ფილმის „დასაქოქი ფორთოხლის" გაქირავება, რომელზეც ამბობდნენ, ამ სურათმა პროვოკაციულად გამოიწვიაო სისასტიკის აქტების სინამდვილეში ჩადენა.

„ფრანს-სუარმა" ახლახან გამოაქვეყნა სტატია „ტელევიზია — დამნაშავეობის სკოლაა", ხოლო მეორე ფრანგულმა ჟურნალმა „პუენმა" ჯერ კიდევ 1988 წელს გამოიანგარიშა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ფრანგ ბავშვს შეეძლო სხვადასხვა არხით ენახა 670 მკვლელობა, 15 გაუპატიურება, 848 ჩხუბი, 419 ბათქა-ბუთქისა და აფეთქების სცენა, 14 მოტაცება, 8 თვითმკვლელობა. მიუხედავად ამისა, აუდიო-ვიდეოპროდუქციის უმაღლესი საბჭო წინააღმდეგია იმისა, რომ სამთავრობო ინსტანციები განსაზღვრავდნენ ტელეგადაცემათა კლასიფიკაციის კრიტერიუმების ავკარგიანობას, „ეს ტელეარხების ხელმძღვანელობის საქმეაო", აცხადებს საბჭოს თავმჯდომარე ერვე ბურჟი.

შეერთებულ შტატებში რესპუბლიკელებმა და დემოკრატებმა ტელეეკრანზე ძალადობის სცენა საარჩევნო კამპანიის ნამდვილ ფალავნად გაიხადეს. სენატორი ბობ დოული ჯერ კიდევ შარშან რისხვით დაატყდა თავს ჰოლივუდს და უპასუხისმგებლო უწოდა ფირფიტების, კინოსა და ტელევიზიის ინდუსტრიის საქმიანობას. მას მიაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა იზრუნონ ბავშვების დაცვისათვის, რომლებიც იოლად ექცევიან მავნე გავლენის ქვეშ. ჰოლივუდმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ დოული მგრძნობიარე სიმს შეეხო. მისი გამოსვლის შემდეგ ჟურნალმა „ტაიმმა" მოაწყო გამოკითხვა, რომელმაც გამოავლინა, რომ რესპონდენტთა 77 პროცენტი შეშფოთებულია ტელეეკრანზე ძალმომრეობის სიჭარბის გამო (დაახლოებით ამდენივე გამოკითხულმა გამოთქვა წუხილი სექსის სიჭარბის გამო).

ჰოლივუდი — ჰოლივუდად, მაგრამ ამერიკის ტელევიზიას აქვს 80-მდე არხი (მათ შორის საკაბელოები), რომლებიც უშვებენ პროგრამებს წელიწადში 600 ათასი საათისათვის, ანუ 600-ჯერ მეტს, ვიდრე ჰოლივუდი უშვებს ამავე დროის მანძილზე. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა წარმოადგინოს თავისი წინადადებანი 1997 წლის იანვარში... ანუ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ.

რჩება ზოგადი ხასიათის საკითხი: აძლიერებს თუ არა ტელევიზიით ძალადობის ჩვენება თვით ძალადობის ტენდენციას? ამასთან დაკავშირებით განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, რომ, მაგალითად, ბავშვები, რომლებმაც ნახეს ფილმები, სადაც გმირი უხეშად ეპყრობა თოჯინას, აგრესიულობას იჩენენ საკუთარი სათამაშოების მიმართ. ისინი კიდევ უფრო აგრესიულნი იყვნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ხედავდნენ, რომ ფილმის გმირი თავისი უხეშობით კმაყოფილებას გრძნობდა. მოეწყო ასეთი ცდაც: შეერთებულ შტატებსა და ბელგიაში ორ ჯგუფად გაყოფილ ახალგაზრდა დამნაშავეებს ხუთი დღის განმავლობაში ზედიზედ უჩვენებდნენ ორი ტიპის ფილმებს. სოციოლოგმა ბერკოვიჩმა აღნიშნა, რომ ისინი, ვინც ნახა ძალადობისა და სისასტიკის ამსახველი ფილმები, გაცილებით მეტ აგრესიულობას იჩენდნენ.

ტელევიზია ღრმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. როგორ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ იგი ყოველდღიურად გვაჩვევს სისასტიკესა და ძალადობას. ეს სერიოზული სოციალური სენია.

ტელეპროგრამების ბაზრის შესწავლამ ცხადყო: ხუთ ბრიტანელთაგან სამს მიაჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების ქომაგებმა მეტისმეტად ღრმად შეტოპეს. სკოლის მასწავლებლები აცხადებენ, რომ გაკვეთილებზე ბავშვების უნებისობა გამოუძინებელი მოდის იმიტომ, რომ გვიან ღამემდე უყურებდნენ ვიდეოფილმებს. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ბავშვები ხშირად აკრძალულ ვიდეოფილმებს უყურებენ თავიანთი მშობლების ნებართვით ან მათთან ერთად. არცთუ იშვიათად, დაუდევარი მშობლები სატელევიზიო პროგრამებსა და ვიდეოფილმებს იყენებენ ერთგვარ „ძიძებად", რათა ბავშვებმა ხელი არ შეუშალონ და თვითონ მშვიდად გაატარონ საღამო.

ვიდეოფილმების ინდუსტრიის ოპონენტები, რომლებიც ვიდეოპროდუქციის კონტროლს მოითხოვენ, აცხადებენ, რომ კრიტერიუმები უნდა წესდებოდეს ოჯახში, და არა სახელმწიფო დონეზე. ისინი მხარს უჭერენ მეცნიერთა მიერ შეთავაზებულ სპეციალურ სატელევიზიო კოდს, რომელიც მშობლებს საშუალებას მისცემს არ აყურებინონ ბავშვებს ძალადობის სცენების შემცველი პროგრამები — წაუშალონ ამ კოდით გამოსახულება ეკრანზე.

იმის ფარგლები, რაც ნებადართულად ითვლება, დროთა განმავლობაში იცვლება. ამ ცვლილების კვალობაზე ბავშვები სულ უფრო მეტად განიცდიან ბოროტების გავლენას, ხოლო მშობლები გრძნობენ, რომ აუცილებელია დაიცვან შვილები სისასტიკის პროპაგანდისაგან.

არჩილ მანჯგალაძე,
უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ყმაწვილის ფსიქიკაზე ტელეძალადობის გავლენის პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას. ეს ბუნებრივიც არის. ქართველი ბავშვი ისევე დაუცველია მოზღვავებული ძალმომრეობის შემხედვარე, როგორც ფრანგი თუ ინგლისელი. და ევროპელ თუ ამერიკელ მშობლებსაც ჩვენზე ნაკლებად არ უყვართ თავიანთი შვილები. მაგრამ, როგორ გინდა, გადაუკეტო გზა ალვირახსნილობის პროპაგანდას? მით უმეტეს, თუ ასეთი ფილმები ხშირად ფრიად პროფესიულ დონეზეა გადაღებული და (ნუ ვიფარისევლებთ) საყურებლადაც საინტერესოა.

სად გადის ზღვარი ეროტიკასა და პორნოგრაფიას, ვაჟკაცობასა და ძალადობას შორის?

ასეთი საკითხები საგაზეთო დისკუსიით არ წყდება, მაგრამ მათი გადაწყვეტა საგაზეთო დისკუსიით შეიძლება დაიწყოს და უნდა დაიწყოს კიდეც. საზოგადოებრიობამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი. ეს აზრი მომწიფებულია და მან უნდა შვას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რადგან დროდადრო შეცხადებები ვერ უშველის იმ საქმეს, რომელსაც ცნობიერების გარყვნა ჰქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონები

დაბრუნების დაჩქარების მოთხოვნით

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, 17 ივლისს, 13 საათზე, ზუგდიდში, ქალაქკომბინატის დასახლების კულტურის სახლთან, ქალაქის მერიასთან შეთანხმებით, აფხაზეთიდან დევნილთა კომიტეტის ინიციატივით გაიმართა სანქცირებული მიტინგი.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია დევნილთა დაბრუნების დაჩქარების საკითხი და რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გარკვევა, კერძოდ, დადგენა იმისა, შესწევთ თუ არა მათ უნარი, უზრუნველყონ იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ სახლკარში.

ფასები არ იზრდება

ლაგოდეხი. პურის ფასების ლიბერალიზაციას ლაგოდეხის რაიონში მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. პენსიების, ხელფასებისა და დახმარებების დროულმა გაცემამ გააადვილა ეს პროცესი. ლაგოდეხის პურკომბინატში შექმნილია პურის ფქვილის სათადარიგო მარაგი, რითაც უზრუნველყოფილია რაიონის მოსახლეობის პურპროდუქტებით მომარაგების უწყვეტობა საშემოდგომო მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებამდე.

რაიონის გამგეობა, პურის ფასების ლიბერალიზაციის საგანგებო რაიონული კომისია ფლობენ სიტუაციას და ცდილობენ არ დაუშვან პურისა და პურპროდუქტების ფასების ზრდა.

როცა ბორბლები არ ცდება

სიღნაღი. სასარგებლო საქმიანობას ეწევიან სიღნაღის რაიონის სატრანსპორტო ორგანიზაციები. მათ წელს გადაზიდეს 426 ათასი ტონა ტვირთი. სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმომ გადაიყვანა 60600 მგზავრი. გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბიუჯეტის შევსებაში. ფულადმა შემოსავალმა 30.500 ლარი შეადგინა პროგნოზირებული 28300 ლარის ნაცვლად. შარშანდელთან შედარებით ზრდამ 145 პროცენტი შეადგინა.

ახმეტა წელში იმართება

ახმეტა. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რაიონის ელექტროენერგიით მომარაგება. ამუშავდა რაიონის საწარმოთა ნაწილი. უკეთ მუშაობს საარსებო მნიშვნელობის ობიექტები. ელექტროენერგიის საფასურს რაიონი წინასწარ იხდის. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახმეტის რაიონმა 80700 ლარი ჩარიცხა, ბოლო თვეში კი — 31880 ლარი, ხოლო მიმდინარე კვირაში — 3836 ლარი.

დაპურდა, და გახდა ყანა

ყვარელი. რაიონში ალობა გრძელდება. მასზე დიდად იქნება დამოკიდებული რაიონის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფა. ამდენი ხორბალი ყვარლელებს კარგა ხანია არ მოუწევიათ (3824 ჰექტარი). ამან თავის მხრივ მრავალი პრობლემა წარმოქმნა. რაიონს არა აქვს საჭირო რაოდენობით კომბაინები. მოსავლის ბედი კი მთლიანად ტექნიკაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, რაიონის გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუწყოს მოსახლეობას მოსავლის აღება-დაბინავებაში. ამ მიზნით რაიონში შექმნილია შტაბი და მობილიზებულია არსებული მთელი ტექნიკა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ქერი აღებულია 486 ჰექტარზე, ხორბალი — 827 ჰექტარზე.

ვაზო, შვილივით ნაზარდო

გურჯაანი. საზოგადოებრივ მეურნეობებში მიმდინარეობს ვენახების წამლობა [illegible] წინააღმდეგ. პირველი, მეორე და მესამე შეწამვლა მთლიანად დამთავრებულია 1400 ჰექტარზე. ასეთივე მდგომარეობაა კერძო სექტორში. დაწყებულია მეოთხე წამლობა ნაცრის წინააღმდეგ. ამავე დროს რაიონში გრძელდება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების აღება. სადღეისოდ ორივე სექტორში მოსავალი აღებულია 400 ჰექტარზე.

ალობა გრძელდება.

გამოფენა

...ხატე, ჩვენო მშვენიერო თეა!

პირველკურსელი იყო თეა ბოტკოველი, თანატოლებთან გიორგი წულაძესთან, გელა კასიძესთან, ზურაბ თოთიბაძესთან ერთად რომ მიიღო მონაწილეობა გამომცემლობა „მერანის" საგამოფენო დარბაზში 1983 წელს გამართულ გამოფენაში.

ეს იყო პირველი შემოქმედებითი სიხარული ოთხეულისა, რომელთაც საჯაროდ გამოიტანეს თავიანთი ფერწერული, გრაფიკული თუ სკულპტურული ქმნილებები და ქებაც დაიმსახურეს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ (1988 წ.) მათი გზები გაიყარა, პირველი გამოფენა კი ლამაზ მოგონებად დარჩა.

შარშან თეა ბოტკოველმა ორჯერ გამართა პერსონალური გამოფენა, ოღონდაც არა საკუთარ დედაქალაქში, არამედ სანკტ-პეტერბურგში (ჟურნალ „ავრორას" მიწვევით) და ჰესენში (გერმანია).

ორივე დებიუტმა წარმატება არგუნა ახალგაზრდა შემოქმედს, მაგრამ სულ სხვა იყო მესამე — თბილისური დებიუტი, ახლახან ბიზნეს-კლუბ „მთაწმინდის" საგამოფენო დარბაზში (თაოსნები: საქართველოს კულტურის სამინისტრო, მხატვართა კავშირი და საქართველოს კულტურის ფონდი), რომელმაც ორ კვირას გასტანა.

ოცი ნამუშევარი გამოფინა ავტორმა — ძირითადად ბოლო წლებში (1990-96) შექმნილი ფერწერული ტილოები და კოლაჟები.

ეს წინათქმაა, წერილს კი ლირიკული წიაღსვლით ვიწყებ.

თეა მხატვრების ოჯახშია დაბადებული და რა გასაკვირია, რომ გამჩენმა მასაც მხატვრობის ნიჭი მოამადლა. და მაინც, როცა ნორჩი არსება ხატავს, ძერწავს, უმეტესად ბავშვურ თამაშად მიგვაჩნია, მაგრამ ამ „თამაშში" მჟღავნდება ხოლმე თანდათან ფანტაზია, ხდება ფერების შეცნობა და შეთვისება, ჩნდება გაგონილის ანუ წაკითხულის თავისებურად გამოხატვის სურვილი და უნარიც. მახსოვს, სულ პატარა იყო თეა, როდესაც ჩემი ერთი საყმაწვილო ლექსი დაასურათა — დედამისი ცნობილი მხატვარი კერამიკოსი — ნანა ბოტკოველი, ამ ნახატით გაოცებული და გახარებული იყო: — იქნებ მაშინ დარწმუნდა, რომ ფერადი ფანქრებით და პაწია პალიტრით თამაში დამთავრდა... თეა მართლაც გულდაგულ ხატავდა, ხატავდა და ბავშვის პირობაზე ბევრსაც კითხულობდა.

... დამთავრდა ბავშვობაც და სკოლის შემდეგ იგი ამთავრებს იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს ფერწერის განხრით, 1983 წელს კი თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას — საბოლოოდ მაინც ფერწერას ერგო არჩევანი — პროფესორების ზურა სამხარაძისა და ჯიბსონ ხუნდაძის გაკვეთილები მას სასიკეთოდ წაადგა და აი, იგი ჩვენს წინაშეა თავისი რჩეულით, რომელიც ფერთა გამითაც გვხიბლავს და ჟანრობრივი მრავალსახეობითაც. თავდაპირველად თუ მისი საყვარელი ჟანრი ნატურმორტი იყო (დროდადრო პორტრეტიც, მაგალითად, „ნინო ფლეიტით"), ერთბაშად რთულ კომპოზიციებს შეება, რომლებშიც მან რეალიზმი და აბსტრაქტული მოტივები შეაუღლა.

დასაწყისში სწორედ ეს ხერხი შეიხმარა თავისი ნაფიქრის ხატოვნად გადმოცემაში, მაგრამ ეს დროებითი იყოო, აღიარებს თავად.

მერე კი თანდათან თავისუფლდება აბსტრაქტულობისაგან და უფრო უახლოვდება სინამდვილეს, — როცა კომპოზიციაში ამოცანა თავიდანვე ნათელია არა მარტო მისთვის, არამედ მხილველისთვისაც.

— უნდა ხატო მას შემდეგ, რაც თემას გაიცნობიერებ — ასე სწამს თეას და სწორედ ამ მრწამსის დასტურია „იძულებული", „ბედის სასმისი", „ნიკე", „ფორტუნა", „ყვითელი ჩიტი"...

რჩეული ვახსენე, ძირითადად იგივე ნაკრები (20-25 ქმნილება) გამოიტანა სამზეოზე, რაც შარშანდელ ვერნისაჟებზე ჰქონდა რუსეთსა და გერმანიაში.

მართალია, მოაკლდა ამ კოლექციას რამდენიმე საინტერესო ქმნილება, მაგრამ სხვა გზა არ იყო — მოზრდილი ტილო — „იძულებული" (110X61), რომელიც ბუკლეტის ყდაზეა დაბეჭდილი, გერმანიაში დარჩა... ეს მხატვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია — განსხვავებული მისი რომანტიკულ-იმპრესიონისტული სტილისგან ადამიანები აყრილან (იძულებით!) და დადგომიან მარადიულ გზას, რომელზეც მათ მრავალი განსაცდელი ელით... ვინ წინ ისწრაფვის, ვინ უკან... იგრძნობა ტანჯული სული ამ გაოგნებული, აფორიაქებული ადამიანებისა... ვინც კი ეს დრამატიზმით აღსავსე ტილო ან თუნდაც მისი რეპროდუქცია იხილა, ყველას გაახსენდება ჩვენი უახლოესი წარსული — ომი აფხაზეთში, სოხუმის დაცემისა და დაკარგვის შემდეგ, იქიდან აყრილ ქართველთა ლტოლვა სამშვიდობოსკენ უძნელესი და უვალი გზებით, მათი უსასოობა და ტანჯვა-წამება. მაგრამ ეს ილუსტრაცია როდია, კომპოზიცია 1992 წლითაა დათარიღებული. და რა ვუწოდო მას, თუ არა წინათგრძნობა ახალგაზრდა ხელოვანისა, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა მოსალოდნელი დრამა და ხალხთა იძულებითი მიგრაციის თემა დრამატულ ფერწერულ პოემად გარდაქმნა, მასში გლობალურად არის ასახული უხსოვარი დროისა და თანამედროვეობის სატკივარი, უსამართლო ომების გამო ბუდედანგრეული ადამიანების ავბედითობა, ქართველი მხატვრის მიერ შექმნილ ამ მძაფრ კომპოზიციაში მარტოოდენ ქართველი როდი ამოიკითხავს თავის სატკივარს — დღევანდელი დღე და უახლოესი წარსული ევროპა-აზიის ქვეყნებისა ხომ მსგავსი ცოდვილთაა დამძიმებული.

არც ნიკე არის შემთხვევითი თემა — ოდენ თაყვანისცემა სრულქმნილი ელინისტური კულტურისადმი! ნიკეს სახით თეა ბოტკოველმა შემოქმედის სულში ჩადებული რწმენა გამოხატა — რწმენა გამარჯვებისა და იგი თავისი მისწრაფების ხატად აქცია!

მაგრამ მხატვრის „ავტოპორტრეტად", სულის სარკედ მესახება „ბედის სასმისი"... დგას საოცარი ფარშავანგი მთელი თავისი ფერადოვნებით (ეს თეას პალიტრაა!), სიამაყით და დაფიქრებულა წინაშე მოოქროვილი ოქროს ბარძიმისა — რა არ არის მასში? — შხამი თუ ბადაგი?! შეეჭვებული, თითქოს ისიც შესთხოვდეს უფალს — ამაცილეს ეს სასმისი!.. სრულყოფილი მშვენიერება და სიმარტოვე! ფარშავანგობაც რომ ძნელია, ფარშავანგობაც რომ არ კმარა თურმე ბედნიერებისათვის — ამას ლაღადებს ეს ფერტილო.

და ისევ ფარშავანგული გადაშლა ფერთა მარაოსი! — „გაზაფხული" — საკუთარი ანარეკლით ტკბობა, თუ ოცნება ტოლზე და სწორზე?

მხატვარს ძალუძს გამოავლინოს განცდა, გნებავთ ხასიათი სულიერისა, რისთვისაც იგი ანიმალისტურ ჟანრს უფრო ეტანება — „ყვითელი ფრინველი", „ჯადოსნური ცხენი", „მამალი", „ბუ"... იგი აადამიანურებს ფაუნის მკვიდრთ და ბუნებით მინიჭებულ მათ ღირსებებს წარმოაჩენს ხან ჰიპერბოლურად, ხანაც ირონიზებით (აქ უთუოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც თამაშობს დიდ როლს!).

რომანტიკულობა, ალეგორია, მეტაფორული ხედვა თეა ბოტკოველის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია. მისი ფერწერული ხერხი, საშუალებანი, მრავალფეროვანი, ძლიერი და მეტყველია.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ეს ქმნილებები და მათთან დეკორატიულად გადაწყვეტილი პანოები „წითელი სიმფონია", „მაღალეტა" (ტრიპტიქი), ნატურმორტები მთლიანობაში სიმფონიურ პოემასავით აღიქმება. და კვლავ მინდა გავიმეორო მისადმი ადრე — სამაისოდ მიძღვნილი ლექსი!

„ხატე, ჩემო მშვენიერო თეა,
ზროწეულის ყვავილობის თვეა!
ხატე ჩვენი საოცნებო მთები,
ნახატებით სიცივეში ვთბები...
ხატე, ჩემო მშვენიერო თეა,—
შენი ნიჭის ყვავილობის თვეა!"

...თეა მაისშია დაბადებული!

* * *

საგამოფენოდ გამოცემულ ბუკლეტს ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნის ნატო ლონდარიძის ლაკონური ანოტაცია ახლავს, რომელიც ასე მთავრდება:

„როგორც ახალგაზრდა შემოქმედს, ვუსურვოთ თეა ბოტკოველს ხელოვნების საკურთხეველთან მიახლოება"...

არა შეკამათებისათვის, არამედ ჩემი რწმენის გამო, მსურს ვთქვა ხმამაღლა, რომ თეა უკვე დგას ხელოვნების საკურთხეველთან და დგას ხელმდიდარი!

ნანა ლვინეფაძე.





სურათებზე: „ბედის სასმისი" და „ბუ".
ჯაბარ ლომაძის ფოტო.

მომავალ ექიმთა საყურადღებოდ!

„ზაზა ფანასკერტელის სახელობის ფასიან სამედიცინო ინსტიტუტს აქვს იგივე სასწავლო გეგმები, როგორიც აქვს სახელმწიფო უფასო სამედიცინო ინსტიტუტს, რადგან ჩვენი ინსტიტუტიც სახელმწიფოა და მისი დამთავრების შემდეგ ექიმები მიიღებენ ისეთივე დიპლომებს, როგორიც ეძლევათ უფასო სამედიცინო ინსტიტუტდამთავრებულებს". — განაცხადა ამ ინსტიტუტის დამფუძნებელმა, ბატონმა ედიშერ მაჩაიძემ.

ფრიადოსნები მიიღებიან აქ უგამოცდოდ, კარგოსნები — გასაუბრებით, ხოლო ყველა სხვა აბიტურიენტი მიიღება ინსტიტუტში ტესტირებული გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

სამკურნალო და სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ისინი აბარებენ:

1. ბიოლოგიას (ზეპირს); 2. ქიმიას (ზეპირს); 3. ქართულს (წერით გამოცდას).

რით გამოირჩევა ეს ინსტიტუტი? ან რატომ გადმოდიან აქ სწავლის გასაგრძელებლად სხვა სამედიცინო ინსტიტუტებიდან?!

ეს ხდება იმიტომ, რომ აქ ლექტორები არიან მხოლოდ აკადემიკოსები და პროფესორები, ხოლო თვით რექტორი — ქართული მედიცინის საამაყე, პროფესორი ზურაბ რცხილაძე!

აღსანიშნავია ისიც, რომ კლინიკური ბაზები განლაგებულია მხოლოდ ქალაქის ცენტრში! სისტემატურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები; წარჩინებული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში.

აქ სწავლება და დისციპლინა აყვანილია უმაღლეს დონეზე!

ამ ინსტიტუტში სწავლა სასახელოა!

ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტთან არსებობს სამედიცინო კოლეჯი 5 ფილიალით. ამ კოლეჯის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი პირდაპირ მეორე კურსზე ჩაირიცხება სამედიცინო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის რექტორატი და მიმღები კომისია მდებარეობს საქართველოს განათლების სამინისტროს II კორპუსის შენობაში, რომლის მისამართია: უზნაძის (ყოფილი კამოს) ქ. №68 (შესასვლელი მთავარი სადარბაზოდან), II სართული.

ტელ. 95-79-56. *საბუთები მიიღება 10-დან 15 საათამდე ყოველდღე (გარდა კვირისა).*

სს "ჯი და ჯი"

"SAMSUNG ELECTRONICS Co.,Ltd" -ს ოფიციალური დილერი
კომპანია "VIST"-ის ოფიციალური წარმომადგენელი

გთავაზობთ

კომპიუტერებს

კონფიგურაცია	ფასი
PENTIUM-60 *8EDO RAM /850 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR, Keyboard ,Mouse 3 button*	**1355** ლარი
PENTIUM-60 *8EDO RAM /850 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR /CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	**1455** ლარი
PENTIUM-100 *16EDO RAM /1000 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.14 LR/ CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	**2050** ლარი
PENTIUM-150 *16EDO RAM /1000 IDE /1.44 /1M/PCI/ SVGA SAMSUNG 3NE-0.15 LR/ CD-ROM 4X SAMSUNG Keyboard ,Mouse 3 button*	**2688** ლარი

ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი, გარანტია 6 თვე

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4, ☎ 93-38-34, 93-38-04 ფაქსი: 93-38-04

შავი იუმორის კუთხე

კუკური და ათი მცნება

კვირადღე იყო. კუკური საწერ მაგიდას უჯდა და ცოდვილობდა, 0,005-ვარსკვლავიანი (ორდღიანი) კონიაკის „ნატახტარის" რეკლამას თხზავდა, შემკვეთი, **შპს** „სარაჯიშვილი-II"-ის პრეზიდენტი, კუკურის კარის მეზობელი მურთაზი გასამრჯელოდ სამ ბოთლ ნამდვილ არაყს და ქილა სოიის ეზოს იყო შეპირებული, ოღონდ ორშაბათს უნდა ჩაებარებინა. „წვეთი სპირტი არ არის ჩემში არაქართული", — დაწერა და კალამი გვერდზე გადადო. არა, არ ვარგა, მეტისმეტად ეროვნულია, გაიფიქრა კუკურიმ, ნაწერი გადაშალა და თავზე დააწერა: „არც მოგწამლავს, არც დაგათრობს, თავსაც კი არ აგატკიებს..." მუზა არადა არ მოსდიოდა და ბრაზობდა. სწორედ ამ უდროო დროს დაადგა თავზე მურთაზი.

— შავი მელანი ხომ არა გაქვს, „პარკერი" მაჩუქეს და მინდა ვნახო, როგორ წერს.

— რატომ ღმერთი არ გაიჯინებს! ოცდაათი წელიწადია, გაზეთში ვმუშაობ, და „პარკერი" თვალით არ მინახავს, შენ კი...

— ჯერ ერთი, იმაზე, რასაც შენ ჯღაბნი, ამერიკული კალამი კი არა, ქიმიური ფანქარიც არამია, და, მეორე, ღმერთს ნუ სცოდავ, ამაოდ ნუ ახსენებ უფლის სახელს.

— შენ... კონიაკების ფალსიფიკატორი... მასწავლი მე, ჟურნალისტ კაცს, ჰკუას?!

— კი ნუ ცხარობ, ლოგიკურად ვიმსჯელოთ და გავარკვიოთ, ვინ ვინ არის, დავადგინოთ ჭეშმარიტება (მურთაზს თავის დროზე ხელმძღვანელად ამზადებდნენ და ფილოსოფიური ჰქონდა დამთავრებული). რაც შეეხება ფალსიფიკატორობას, ჩემი კონიაკი ნატურალურ ნატახტრის წყალსა და უებარ „სარაჯიშვილის წვეთებზეა" დაყენებული. ამიტომ ჰქვია **მეორე** სარაჯიშვილის, შელვინის კი არა, **ნევროპათოლოგის** სახელი. ახლა — მთავარზე, ზნეობის კანონთა შესრულებაზე. გინდა?

— მოდი.

— დავიწყოთ პირველი მცნებით — **მე ვარ უფალი ღმერთი შენი...** — რამდენადაც ვიცი, ეკლესიაში შენ არ დადიხარ, წირვა-ლოცვას არ ესწრები... წმინდა წიგნებს თუ კითხულობ?

— მუშაობის დროს, როცა დამჭირდება ხოლმე...

— აი, ხომ ხედავ. როცა დაგჭირდება... ახლა ვნახოთ, როგორ ასრულებ მეორეს — **არა ჰქმნე თავისა შენისა კერპიო...** გახსოვს, როგორ იყავი გადაყოლილი ბანქოს, ბათუმში ჩასვლის პირველივე დღეს რომ წააგე პრეფერანსში ფულთან ერთად საგზური, ტყავის ჩემოდანი და რეზინის გასაბერი ლეიბი?

მესამე მცნება — **არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედაო,** შენ სულ ორი წუთის წინ დაარღვიე. მეოთხეს — **მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგიო,** — ჩემს თვალწინ არღვევ, კვირადღეს მუშაობ. მეხუთეზე — **პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსაო,** — არ გედავები, ორივე გიყვარდა, თუმცა მაინც ამწარებდი და, საბოლოოდ, შენს ჯავრს გადაყვნენ. ახლა მეექვსე — **არა კაც-ჰკლა.** ეს მცნება, სხვათა შორის, თვითმკვლელობასაც გულისხმობს. შენ კი, გახსოვს, „ივერიის" ბუფეტში უცხოელ სტუმართან ვეკვის დროს გული რომ აგერია და მე-15 სართულიდან ხტებოდი? მოაჯირზე რომ არ დაეჭირე იმ ქალის თანმხლებ პოლკოვნიკს, ახლა ჯოჯოხეთში იქნებოდი. ხოლო მეშვიდეზე არც კი მინდა ლაპარაკი.

— მეშვიდე, **არა იმრუშო?** ტყუილია, რაც ცოლი მოვიყვანე...

— მოიცა, მოიცა. შარშან წინა აზიის პაციფისტთა დელეგაცია რომ იყო ჩამოსული და შენ გაგგზავნეს ინტერვიუს ასაღებად, ვის გადაულეს სურათი, მცხეთის „სამთავისის" კუპეში არლანზე რომ ქეიფობდა იმ დელეგაციის ხელმძღვანელ ქალთან ერთად?

— კი მაგრამ, რომელი კონვენციით არის აკრძალული არლანი როგორც მასობრივი მოსპობის იარაღი?

— არლანზე არ გეუბნები. შენ არ იყავი, რომ დაათვრე და საგარეო საქმეთა სამინისტროს მანქანის სახურავზე „ტანეც ჟივოტა" აცეკვე ჩადრისამარა მანდილოსანს? საწყალი, რომ გამოფხიზლდა, სამშობლოში დაბრუნება შეეშინდა და აქ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

— თუ გინდა იცოდე, ეგ სულაც არ არის ზნეობის საზომი. ბაირონს თავის ირგვლივ ქალი არ გაუშვია... მაგრამ დღესაც კეთილშობილების და უმაღლესი ზნეობის ეტალონად დარჩა.

— ბაირონი, ქალების დევნის გარდა, ხანდახან ლექსებსაც წერდა, თან ჩაგრულ ხალხებს ეხმარებოდა... ახლა, მერვე — **არა იპარო.**

— მაგას მაინც ვერ დამაბრალებ. ნემსი რაა, ისიც კი არ ამილია სხვისი.

— ნემსი — არა, მაგრამ ბებიაშენი ცხრილში ობლიგაციებს რომ გასინჯვინებდა, შენ არ ეუბნებოდი, უჰ, ბებო, წაგიგიაო, — და „წაგებულ" ფულსართმევდი?... მეცხრე — **არა ცილი სწამო...**

— მერე, ვის დავწამე?

— გახსოვს, ჩვენი რაიკომის მდივანი რომ გამოაჭენე გაზეთში, მექრთამეაო, მერე კი რედაქცია იძულებული გახდა მოებოდიშებინა და უარყოფა დაებეჭდა. ხომ არ დაუმტკიცდა ქრთამი?

— რა ვიცოდი, ის კაცი ჩვენებას რომ გადათქვამდა...

— უნდა გცოდნოდა! და, ბოლოს, მეათე. ცოტათი მეშვიდეს ჰგავს, ოღონდ უფრო თეორიულია, — **არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისაო...** არა მგონია, ამ ორი წლის წინათ მარტო გულისთქმის გულისთვის გამოგკიდებოდა როზას ქმარი სამართებლით ხელში.

მოდი, ახლა შევაჯამოთ. ათი მცნებიდან ცხრას არ ასრულებდი. მე კი ათივე მცნებას ვიცავ და თუმცა არა მაქვს შენისთანა სულიერი საღმობები, ცოდვები, ბოროტი ჩვევები და ვნებები, ხვალ მაინც ალსარებაზე მივდივარ. ასეა, ჩემო ძმაო...

* * *

მეორე სალამოს მურთაზს კუთვნილი ჰონორარის მისალებად რომ მიაკითხა, კუკურის კარის მეზობელი ფრიად უგუნებოდ დაუხვდა. თურმე, ალსარების მოსმენის შემდეგ მღვდლისთვის წნევას დაურტყამს.

— მაინც, რა უთხარი ისეთი? — ჰკითხა მოზეიმე კილოთი ალმსარებელს. წვეთოვანი კონიაკის გამომგონებელს ხმა არ ამოუღია, თავისთვის კი გაიფიქრა: კიდევ კარგი, ყველაფერი არ ვუთხარი, თორემ ცოდვების მიტევებას ვერ მოასწრებდაო.

არჩილ შავაძე.

ფაქტი

ამასაც დედა ჰქვია?!

გაცნობებთ, რომ საქართველოს მოქალაქე, 6 წლის ჯემალ ქაროსანიძე სამი წელია ტყვეობაში იმყოფებოდა თურქეთის ქ. რიზეში, ერთ-ერთ ოჯახში, ბავშვი იქ მოხვდა იმის შედეგად, რომ დედამისმა დააგირავა, ანუ გაყიდა საკუთარი შვილი 8 ათას დოლარად. ამ ხნის განმავლობაში ბავშვის მამა და მთელი ოჯახი ამაოდ ეძებდა მის გზა-კვალს, რამდენიმე თვის წინათ მათ მოიძიეს და მოინახულეს ბავშვი, მაგრამ თურქი მოქალაქე თხოვდა მათ ფულად გამოსასყიდს, რის საშუალებაც ოჯახს არ ჰქონდა.

ბავშვს გაუკეთდა წინადაცვეთა, სრულიად დავიწყებული აქვს ქართული ენა და ლაპარაკობს მხოლოდ თურქულად, ამავე დროს, აცხადებს, რომ არის თურქი.

ეს ამბავი საქართველოს გენერალურ საკონსულოში ქ. ტრაბზონში შეიტყვეს 17 ივლისს, სალამოს. მეორე დღეს, დილიდანვე, გენერალური კონსულის მოადგილე გაემგზავრა ქ. რიზეს. თურქეთის პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებთან 11-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ, იმავე სალამოს, გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელიც მოგებულ იქნა ქართული მხარის მიერ. ბავშვი გადაეცა გენერალურ საკონსულოს.

ბავშვს მალე ჩამოიყვანენ საქართველოში და ჩააბარებენ ოჯახს. ამავე დროს, დედამისი ანტალიაში აგრძელებს თავის სამარცხვინო საქმიანობას.

ეს არის მეთოთხმეტე შემთხვევა, როცა გენერალური საკონსულოს მეშვეობით ბავშვი დაუბრუნდა საქართველოს.

საკუთარი ინფორმაცია.

გახსენება

ნიკიტა ბირკაია

იგი ქალაქ სამტრედიის ერთ-ერთ მყუდრო და ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა და იზრდებოდა. შემდეგ ცხოვრების ლამაზი და საინტერესო გზა—სანკტ-პეტერბურგის საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტობა, ყმაწვილკაცის ცხოვრება თითქოს მშვიდად და უზრუნველად მიედინებოდა. მაგრამ, აი, 1937 წლის რეპრესიები და მამა პორფირე ბირკაია — ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე, ამ რეპრესიებს შეეწირა. მას კი, როგორც რეპრესირებულის შვილს, ინსტიტუტის დატოვება მოუხდა. შემდეგ, როგორც იყო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ეკონომიკის ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა კიდეც.

ისევ მშობლიური ქალაქი სამტრედია და ამ ურჩეულო სამყაროში ცხოვრების ჩვეულებრივი გზა, რადგან, როცა მისი სამსახურებრივი დაწინაურების საკითხი დგებოდა, ყოველთვის მამის სახელს შეახსენებდნენ. თანდაყოლილი შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით მაინც მიიკვლევდა ბილიკს აღმართისაკენ, ნიჭიერი ეკონომისტი და ფინანსისტი.

ყველაზე დიდი ნიჭი მაინც ნიჭი სიყვარულისა ამშვენებდა. ლამაზი, წარმოსადეგი და მუდამ მომღიმარი ნიკიტა ბირკაია ყოველთვის უშურველად თესდა სიკეთეს და თავადაც ბარაქიანად იმკიდა სამაგიეროს. მიტომაც დაუტოვა სამშობლოს კაცური კაცის სახელი და გვარის ორი გამგრძელებელი — ერთი ინჟინერ-მშენებელი, მეორე იურისტი — ნიკერ და ნუგზარ ბირკაიები, რომლებიც მამისგან მიღებული კეთილი მემკვიდრეობის წყალობით, უკვე მეოცე წელია, ქალაროსხან დედა ვენერა ჯანელიძე-ბირკაიასთან ერთად, დახუნძლულები შვილებითა და შვილიშვილებით, ანთებენ სანთელს მამის საფლავზე და ამით ადამიანებს ერთხელ კიდევ შეახსენებენ, რომ პიროვნებისათვის ყველაზე ძვირფასი და მარადიული მაინც ხსოვნა და არდავიწყება არის, რამეთუ ჩვენ, ყველანი წარმავალნი ვართ და ამქვეყნად რჩება ერთადერთი—სახელი და ღირსება და ნაყოფი სიკეთისა, რომელიც შენ სიცოცხლეში დაგითესია და, რომელსაც მეორე სიცოცხლე ჰქვია სახელად.

მეგობრები.

ბონდო შეყლაშვილი

40 დღე გავიდა, რაც მარადიულ სასუფეველში განისვენებ, გულიდან დარდი და სევდა არ გადაგვდის...

უდროოდ წახვედი ჩვენგან ძალზე შრომისმოყვარე, განსაკუთრებული იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ყველასათვის და განსაკუთრებით გაჭირვებულთა ხელგამმართველი, თავისი სიტყვის შემსრულებელი საქართველოსა და გამორჩევით, მშობლიურ ზემო იმერეთზე შეყვარებული პიროვნება, რომელმაც თავისი საქმიანობით და განუმეორებელი კაცურკაცობით დაამახსოვრე შენი სახელი საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მრავალრიცხოვან მოქალაქეებს, რომლებთანაც ურთიერთობა გქონდა.

შენ იმხელა ქრისტიანული რწმენა გაგაჩნდა, რომ ღმერთისადმი რიდმა და მოკრძალებამ საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში მდებარე საკუთარ ეზოში ღვთის სახლი აგაგებინა, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

მწუხარებამ და სევდამ დაისადგურა შეყლაშვილების ოჯახში. სამუდამოდ ფრთამოტეხილი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ყოველდღიურად დიდი ტკივილითა და ამავე დროს, უდიდესი სიყვარულით ვიხსენებთ შენს სახელს, ვიხსენებთ ერთად გატარებულ ხალისიან და სიცოცხლით სავსე ცხოვრებისეულ ეპიზოდებს.

დიდია შენთან განშორების ტკივილი, მაგრამ მაინც ცოცხლობს იმედი, რომ წინაპართა ჩრდილებს ჩახუტებული შენი უკვდავი სული ზეციდან ილოცებს საყვარელი ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების, მეგობრებისა და სამშობლოსათვის, ბონდო შეყლაშვილის სახელი კი სამუდამოდ დარჩება ოჯახისა და მეგობრების გულში.

ღმერთო, ნათელში გვიმყოფე შესანიშნავი მეუღლე, შვილებისთვის განუმეორებელი მამა და შვილიშვილებისთვის საყვარელი პაპა.

მეუღლე მერი, შვილები კაკო და სპირიდონ შეყლაშვილები.

გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა" და „სამშობლო ფორტეს" რედაქციების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჭემალ გახოკიძეს მამის

ვლადიმერ გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჭემალ გახოკიძეს მამის

ვლადიმერ გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჭემალ გახოკიძეს მამის

ვლადიმერ ზოსიმეს ძე გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ჭემალ გახოკიძეს მამის

ვლადიმერ ზოსიმეს ძე გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის შსს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის რაიონის საგამოძიებო განყოფილების კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს შს მინისტრის მოადგილეს, ბატონ ჭემალ გახოკიძეს მამის

ვლადიმერ გახოკიძის

გარდაცვალების გამო.

მორიგე რედაქტორი ანზორ გასილაია.

გამომცემელი-შპს „პრესა" რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. სარედაქციო კოლეგია.